საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთობა

ოთხშაბათი, 3 ნოემბერი 1920 წ.

ფასი 15 მანეთი

გაზეთის ღირს თვეში 375 მანეთი. ცალკე ნომერი ყველგან 15 მანეთი განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 20 მანეთი, მეოთხე გვერდზე 15 მანეთი. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომის (15 × 2) 500 მანეთი. ნისიათ განცხადება არ დაიბეჭდება. რედაქცია და კანტორა იმყოფება ერთობის ქ. № 4. შესახვევი რუსთაველის ქუჩის № 18-თან კანტორის ტელეფონი 16—62 რედაქციის 14—76

№ 250 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 250

საქართველოს სოც.-დემ. მუშათა პარტიის
ცენტრალური კომიტეტი
მოთავსებულია ერთობის ქ. № 4. მესამე სართული
შესახვევი, რუსთაველის ქუჩიდან № 18, ტელ. 11—79

ლიდა და ოლღა ილიას ასულნი სოლოღაშვილები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ მათთვის საყვარელი და დაუვიწყარი დეიდის

ნინო იაკობის ასულის გადრიძის

ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი გარდახდილ იქნება დ. ცხინვალში ხუთშაბათს, 4 ნოემბერს. (8546—1—1)

ღრმათ დამწუხრებულნი მეუღლე არსენ, შვილები: თედორე, კალისტრატე, კატო, მარო ჯინჭარაძეები და იაკინთე, იოსიფ და ნატალია შევარდნაძეები ოჯახობით. ძმა სილიბისტრო ვაშალომიძე ოჯახობით. სიძე კირილე აროშელიძე ოჯახობით. რძლები ალათი და ნინა ჯინჭარაძეები აუწყებენ ნაცნობთ და ნათესავთ, რომ ექვს ნოემბერს ა. წ. დილით შაბათს 12 საათზე ექადიის წმ. გიორგის ეკლესიაში გადახდილი იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი ძვირფასის

მინატრეს (ანნა) ჯინჭარაძის

სულის მოსახსენებლათ. (3544—1—1)

უღრმეს მადლობას ვუცხადებთ მოქალაქეთ ვალიკო ახვლედიანს, გრიგოლ მამაგეიშვილს, რაჟდენ წულეისკირს, სევერიანე ქარცივაძეს სოლომონ მენაბდეს, და ყველა იმათ, ვინც დახმარება აღმოგვიჩინათ ტრაღიკულად დაღუპულის ყაზბეგის კონტრ-რაზვედკის უფროსის კაპიტან

გიორგი საღარეიშვილის

განსვენებაში და ნივთების ჩაბარებაში. განსვენებულის ნათესავები.

სახელმწ. თეატრი.

3 ნოემბერს

ბალეტის საღამო

მ. ხ. მორდკინისა.

ხუთშაბათს 4 ნოემბერს კარმენი. პარასკევს 5 ნოემბ. ბალეტის საღამო მიხ. მორდკინისა. შაბათს 6 ნოემბ. ოპერა მუშებისათვის ევგენი ონეგინი. დასაწყისი 8 საათზე საღამოს. (ნ. 1—1)

სახელმწიფო დრამის თეატრი

(ყოფილი არტისტიული—რუსთველის პრ. № 21, ტელ. 8—07)

ქართული დრამის სეზონი 1920—1921 წ.

ხუთშაბათს, ნოემბრის 4-ს

დავით კლდიაშვილის პიესები

„დარისპანის გასაჭირი“ და **„ირინეს ბედნიერება“**

ახალი დეკორაციები მხატვრის ვალ. სიდამონ ერისთავისა.

დასაწყისი საღ. 8 საათზე. დარჩენილი ბილეთები კასაში. (ნ. 1—1)

ორტესებრ რკინის კოჭებს 14 სიმაღლეს და 11 არშ. 10 ვერშ. და 10 არშინიანებს, წონით 2000 ფუთამდე და სახელსაწყო ფოლადს 1/4—1 1/4 მდე წონით 100 ფუთს

ყიდის ფოთის ქალაქის
გამგეობა

(ფ. 1—1)

სახელმწიფო გამოცდების კომისია

სიბრძნის მეტყველების ფაკულტეტზე კურს დასრულებულთათვის სწავლა-განათლების სამინისტროს მიერ უკვე დანიშნულია და შეუდგება გამოცდებს მიმდინარე 1920 წლის 1 დეკემბრიდან.

გამოცდების დაჭერის მსურველთ უნდა შემოიტანონ თხოვნა სახელმწიფო უნივერსიტეტის კანცელარიაში და სიბრძნის მეტყველების ფაკულტეტის საქმის მწარმოებელს წარუდგინონ. თხოვნასთან უნდა წარმოდგენილ იქნეს მოწმობა ამა თუ იმ უმაღლეს სასწავლებლის კურსის შესრულებისა, გამოცდების ჩაბარებისა წლოვანებისა და ორას ორმოცდა ათი მანეთი (250 მ.). (3551—3—1)

პანისლამისტური საფრთხე

მას აქეთ, რაც საბჭოთა რუსეთი ადერბეიჯანში შემოსვლით დაუახლოვდა ოსმალ-იმპერიალისტებს, მანამდის მიყუჩებულმა ქემალ-ფაშამ ისევ თავი წამოყო, სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენ წამოიწია და სომხეთს დაასია ყოველმხრივ თავისი ჯარები. მისი როგორც მახლობელი, ისე შორეული პოლიტიკური მიზნები სრულიად ცხადი და აშკარაა. ეს მიზნები ძველებური, პან თურქისტული და, უფრო ფართო, პანისლამისტურია. ქემალ-ფაშის მახლობელი პროგრამა ისევ ის არის, რომელიც დასახული ჰქონდათ ოსმალეთის იმპერიალისტებს ამ სახელმწიფოს ძლიერების დროს. ქემალ-ფაშა ცდილობს განახორციელოს ისევ ის, რაც განზრახული ჰქონდათ ენვერ-ფაშას და ხალილ-ფაშას იმ დღეებში, როდესაც ძლევამოსილმა ოსმალეთის ლაშქარმა აიღო ყარსი, არტაანი, ბათომი, საქართველოს საზღვრები გადმოლახა და მოიწევდა თფილისის და ქუთაისისკენ. რომ ქემალ-ფაშის გეგმა ისევ ის 1918 წლის გაზაფხულის გეგმაა, ამის დამამტკიცებელია მრავალი ნიშნები.

ამას წინეთ გაზეთებში გამოქვეყნებული იყო პროკლამაცია, რომლითაც მიმართეს ქემალ-ფაშის წარმომადგენლებმა სამუსლიმანო საქართველოს მცხოვრებთ. აღმოსავლეთური ფანატიზმი და სხვა სარწმუნოების ხალხისადმი და მეტადრე ქართველთადმი სიძულვილი და გაბოროტება ისმის პროკლამაციის ყოველს სიტყვაში. ალლახის დახმარებით ძალიან ახლო ხანში დედა სამშობლოს სარწმუნოების, ხალხის უფლებათა და ქემალისტების მტრებთან უნდა ვიომოთ ყოველ შემთხვევაში ალლახი ჩვენთანაა“ ვკითხულობთ ამ პროკლამაციაში. „მტერი“ (რა თქმა უნდა საქართველო) თავის ხიშტით პირდაპირ სარწმუნოებას შეეხო და შეურაცყოფა ეს არ დაივიწყოთ“ „მოთმინება მუსლიმანთა თვისებაა. ცოტა ხანს კიდევ ითმინეთ. მტერი დამარცხებული და მუსულმანობა გახარებული იქნება.“ არავითარი ეჭვი არ რჩება, რომ ქემალ ფაშა ოცნებობს სარწმუნოების ნიადაგზე სულთანის დროშის ქვეშ („დედა სამშობლო“ ე. ი., რა თქმა უნდა ოსმალეთია) გააერთიანოს ყველა ის ადგილები, სადაც მუსულმანობა ცხოვრობს, მიუხედავათ იმისა თუ რა ეროვნებას ეკუთვნიან ეს სარწმუნოებით მაჰმადიანი მცხოვრებნი.

არ შეგვიძლიან ვთქვათ, რომ ასეთი პროგრამის განხორციელებას ამიერ-კავკასიაში არ ჰქონდეს ნიადაგი. მაჰმადიანობის გაერთიანებაზე ოსმალეთის დროშის ქვეშ ოცნებობენ აზერბეიჯანელი რეაქციონერები, რომლებმაც გუშინდელი შავი ფერი უეცრად „წითელ“ ფერზე შესცვალეს და საბჭოთა ადერბეიჯანს მოექცენ სათავეში. ქემალ ფაშის განზრახვების საუკეთესო გამტარებლებათ ადერბეიჯანში გამოდიან ბაქოელი „კომუნისტები“. მათი პრესა ცდილობს ქემალ ფაშის ამიერ-კავკასიაზე სვლა მოაჩვენოს მცხოვრებლებს, როგორც მათი ხსნა. ბაქოს „კომუნისტ“-ში იბეჭდება ინფორმაციული ხასიათის ცნობები, რომლების მიზანიც არის დაბადოს ამიერ-კავკასიის მცხოვრებთა შორის თანაგრძნობა ქემალ-ფაშისადმი. „ქემალ-ფაშის ჯარები, ვკითხულობთ მაგ., ამ გაზეთის 137 ნომერში, იჭერენ სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის რესპუბლიკის ტერიტორიას, ე. ი. ყარსის და ბათუმის მხარეებს, ახალციხის მაზრას თბილისის გუბერნიაში, სურმალინის და შარურის მაზრებს ერევნის გუბერნიაში, ყველგან აწყობენ სამოქალაქო მმართველობას ადგილობრივ მცხოვრებთაგან, ეს უკანასკნელნი ქმნიან სამმართველო ორგანოებს საბჭოთა რუსეთის ტიპის თანახმად“.

ამნაირად ამიერ-კავკასიაზე სამხრეთიდან იერიშით მოდის ქემალ-ფაშა გარკვეული პანისლამისტური პროგრამით: მას სურს მთელი მუსულმანური სამყარო გააერთიანოს სარწმუნოებრივ ნიადაგზე ოსმალეთის დროშის ქვეშ. ამიერ-კავკასიის აღმოსავლეთის მხრიდან კი ამ პანისლამისტურ პროგრამას „კომუნისტური“ ლოცვა კურთხევა ხვდება: საბჭოთა წესებზე მოწყობილი ადერბეიჯანის კომუნისტები ცდილობენ ის განზრახვები, რომლის შავ ფერს არც მალავს თვით ქემალ ფაშა, ამიერ კავკასიის მშრომელ ხალხს წითელ ფერად მოაჩვენონ. ეს ორ მხრივი იერიში—ფიზიკური სამხრეთიდან და იდეური აღმოსავლეთიდან—ამიერ-კავკასიას, ეჭვი არ არის, დიდ საფრთხეს უმზადებს. არავითარი მნიშვნელობა არა აქვს იმას, რომ დღეს ადერბეიჯანს „საბჭოთა რესპუბლიკა“ ჰქვიან და რომ იგი საბჭოთა რუსეთთან არის დამოკიდებული. არსებითად ამიერ კავკასიისათვის დღეს იგივე მდგომარეობაა შექმნილი, როგორც იყო 1918 წელში, როდესაც ადერბეიჯანმა ხელი გაუწოდა შემოჭრილს ოსმალეთის ლაშქარს.

პრესა

„სახალხო საქმე“ სიტყვას ბანზე აგდებს. ამირაჯიბის საქმის შესახებ მთავრობის განკარგულებას „წვრიმალნობის“ ჭაობში ჩაფლვას ეძახის და მის სამსახურიდან დათხოვის მიზეზს ასე აუწყებს თავის მკითხველებს:

> „მოხელეს განუკითხავად ითხოვენ სამსახურიდან **მარტო მისთვის რომ, გაჰბედა და საქვეყნოთ სთქვა თავისი გასაჭირი**“. (ხაზი ჩვენია).

ასე ამახინჯებს, „სახალხოს“ მეპრესე სინამდვილეს.

ამირაჯიბი დაითხოვეს იმისთვის, რომ მან შერჩეული გასაღებით გააღო სხვისი ბინა და შიგ დაბანაკდა; რომ მან უარი განაცხადა ბინის დაცლაზე მაშინაც კი, როცა მას ამის შესახებ წინადადება მისცეს. და აი ჩვენ ვეკითხებით „სახალხოს“—დასაშვებია თუ არა რომ ასე იქცეოდეს პროკურორი, რომელიც პირდაპირი მოვალეობა სწორეთ იმაშია, რომ ასეთები პასუხისგებაში მისცეს?

რა ალაპარაკებს ამდენს „სახალხოს“ —სახელმწიფოებრივი თვალსაზრისი თუ ის რომ ამირაჯიბი მათი კაცია?

მკითხველი ადვილათ გამოიცნობს „სახალხოს“ ამხედრების მოტივს....

„სახალხოს“ იგივე ნომერი ეხება მასწავლებელთა მდგომარეობის შესახებ ჩვენს შენიშვნას და ამბობს:

> „ერთობა“ მსხვერპლს ითხოვს მასწავლებელთაგანო. მაგრამ როდესაც სამსხვერპლოთ გაუხადეთ საქმე რესპუბლიკას და მოქალაქეს იმდენი შეგნება და ტაქტი მაინც გამოიჩინეთ რომ ფეხებს ნუ უბრახუნებთ, თუ სტუქსავთ და თითს ნუ უქნევთო“. (№ 967)

ტუქსვა, თითის ქნევა, ფეხების ბრახუნი ეს თვით „სახალხომ“ მოჭორა და ჩვენ მოგვწერა. ჩვენ, რასაკვირველია, ამ გვარი რამ არსად და არასოდეს არ ჩაგვიდენია. რაც შეეხება მსხვერპლის მოთხოვას ეს კი მართალია და ამ მსხვერპლს ჩვენ ვითხოვთ არა მარტო მასწავლებლებისაგან, არამედ ყველასგან, რადგან ჩვენი ეკონ. მდგომარეობა დღეს ისეთია, რომ უმსხვერპლოთ მისი გამოსწორება შეუძლებელია. და ჩვენ ვიცით თუ როგორის მოთმინებით ეწევა ამ მსხვერპლს ეკონომიურათ ყველაზე უფრო გაჭირვებული მუშათა კლასი. „სახალხო“ ეტყობა წინააღმდეგია ასეთი მსხვერპლის და ნიშნის მოგებით ამბობს: რათ გაუხადეთ საქმე რესპუბლიკას და მოქალაქეს სამსხვერპლოთო. ისეთ ხალხს, როგორც მეტის არაფრის თქმა არ შეუძლია ჩვენი დღევანდელი მდგომარეობის შესახებ და და რომელსაც გონია რომ ასეთი მდგომარეობა ჩვენ შევქმენით, ბევრი, რასაკვირველია, არ მოეთხოვება და მასთან ასეთ საქმეებზე კამათი სრულიად ზედმეტია. „სახალხო“ ეტყობა ისეთი გაზვიადებული წარმოდგენისაა თავის თავზე, რომ გონია ფედერალისტები რომ ყოფილიყო მართვა გამგეობის სათავეში ასეთი მდგომარეობა არ იქნებოდა. მას ალბათ ისიც ჰგონია, რომ ამას ვინმე დაიჯერებს...

ნეტარ არიან მორწმუნენი...

გაცრუებული იმედები

რუსეთის თვითმპყრობელობის დაცემას—რუსეთის დიდ რევოლუციას უსათუოთ დიდი გავლენა ჰქონდა დემოკრატიულ და რევოლუციონურ მოძრაობაზე ევროპაში. მართალია, ამ დემოკრატიულ რევოლუციონურ მოძრაობის უპირველესი და უმთავრესი მიზეზი იყო მსოფლიო ომი და მისგან გამოწვეული საშინელი ეკონომიური კრიზისი მთელ ევროპაში, მაგრამ ამ მიზეზთან ერთად რუსეთის რევოლუციამაც დიდი როლი ითამაშა. ამიტომაც რუსეთის რევოლუციას ევროპის დემოკრატია და მუშათა კლასი დიდი თანაგრძნობით შეხვდა.

რამდენადაც დემოკრატიულ-რევოლიუციონური მოძრაობა ევროპაში ძლიერი იყო, იმდენათ ევროპის ბურჟუაზიულ-რეაქციონური კლასები დაფრთხა და შეშინდნენ, რომ დაბოლოს ჯერი მათდამი არ მისულიყო და მათ ძალა უფლება არ დაეკარგათ. ევროპაში ეს კლასები ყველგან ითხოვდენ თავის მთავრობისაგან ასეთ რევოლიუციონურ მოძრაობას შებრძოლებოდნენ. უპირველეს ყოვლისა ნიშანში ამოღებულ იქმნა რუსეთის რევოლიუცია და მის წინაამღდეგ ეწეოდნენ გაფთრებით აგიტაციას. თხოულობდნენ, რომ რუსეთის რევოლიუცია ჩაექროთ იარაღით ხელში. ამას იმით ასაბუთებდნენ, რომ ბოლშევიკები ღუპავენ რუსეთის ხალხს, ანადგურებენ მთელ სახელმწიფოს კეთილდღეობას და ამიტომ საჭიროა დავეხმაროთ დენიკინს, კოლჩაკს, იუდენიჩს ვრანგელს და სხვებს და მით ვიხსნათ რუსეთიო. მაგრამ არ იყო ძნელი იმის გაგება რომ რუსეთში დენიკინის, კოლჩაკის, იუდენიჩის თუ ვრანგელის გამარჯვება-გაბატონებას მოჰყვებოდა იქ ძველი რეჟიმის აღდგენა.

ევროპის ბურჟუაზია თხოულობდა რუსეთის საქმეებში ჩარევას, ევროპის დემოკრატია და მუშათა კლასი კი ამას სასტიკათ ებრძოდა. ევროპის მუშათა კლასი ამბობდა: ჩვენ ბოლშევიკები არ მოგვწონს, ჩვენთვის მიუღებელია მათი ბარბაროსული მოქმედება, ისინი მართალიც, რომ უსასტიკესი კრიტიკის ღირსი არიან, არც მათი თეორია, არც მათი პრაქტიკა არ შეეფერება ევროპის მუშათა კლასის მოძრაობას, მაგრამ ყველაფერი ეს მაინც რუსეთის ხალხის საქმეაო. ჩვენ არ გვაქვს უფლება ჩავერიოთ რუსეთის შინაურ საქმეებში, რუსეთის ხალხმა თვითონ უნდა განაგოს თავის საქმეებიო. ჩვენ ვერ დავეხმარებით ბოლშევიკებს, მაგრამ არც სხვებს დავანებებთ, რომ რუსეთში ძველი რეჟიმი აღადგინონო. და რამდენადაც ევროპის ბურჟუაზია ინტერვენციის პოლიტიკას ენერგიულათ ეწეოდა, იმდენათ მუშათა კლასი ამ პოლიტიკას წინააღმდეგობას უწევდა. რუსეთის ხალხი ტანჯულ ხალხათ იქმნა აღიარებული და მას მუშათა წრეებში დიდ თანაგრძნობას უცხადებდნენ. დღეს თამამათ შეიძლება იმის თქმა, რომ, თუ ევროპის ბურჟუაზიამ ვერ შესძლო რუსეთის შინაურ საქმეებში ჩარევა ისე, როგორც ეს მას სურდა, ეს ევროპის მუშათა კლასის რუსეთის ხალხისადმი გაწეული სამსახურის შედეგია. და რომ ევროპის მუშათა კლასი ომს არ დაეყო და გაეთიშა ერთმანეთისაგან, რომ მას, როგორც ომამდე, მთლიანათ და ერთსულოვანათ შესძლებოდა მოქმედება, ეს შედეგი გაცილებით უფრო ნაყოფიერი იქნებოდა.

მაგრამ რით გადუხადა ეს სამსახური ევროპის მუშათა კლასს რუსეთის მართლა ტანჯულ ხალხზე გაბატონებულმა პარტიამ? მით, რომ ბოლშევიკებმა მოინდომეს ევროპის მუშათა კლასში განხეთქილების შეტანა.

ბოლშევიკებმა ისარგებლეს ევროპის მუშათა კლასში არსებულ რუსეთის ხალხისადმი იმ თანაგრძნობით, რომელიც ერთის მხრივ გამოწვეული იყო რუსეთის დიდი რევოლიუციით და მეორე მხრივ კი ევროპის რეაქციონური კლასების რუსეთის შინაურ საქმეებში ჩარევის პოლიტიკით. როცა ევროპაში რუსის ფულს გასავალი ჰქონდა, ბოლშევიკებს ის მილიონებით შემოჰქონდათ იქ. როცა ამ ფულის მიღება ევროპაში აიკრძალა, მაშინ იწყეს აუარებელი ოქრო-ვერცხლის, ბრილიანტების და სხვა ძვირფას ნივთების შეტანა, ყიდდენ ყველა ამას და აგროვებდნენ საპროპაგანდო ფონდს. უნდა ითქვას, რომ ბოლშევიკები ენერგიული ხალხი და ისინი დიდ ენერგიას ხარჯავდნენ, რომ მთელ ევროპას ბოლშევიკური რევოლიუცია მოხდებოდა.

ბოლშევიკებს რუსეთში ძალა-უფლების შერჩენის იმედი იმდენათ აქვთ, რამდენათ ევროპაში მათი თეორია და პრაქტიკა გაიმარჯვებს. სხვანაირათ მათი მომავალი უიმედოა.

ამიტომაცაა, რომ უწინ და ეხლაც ხშირათ მათ გაზეთებში ვკითხულობთ ტენდენციოზურ ცნობებს, რომ აი ამ სახელმწიფოში, აი იმ სახელმწიფოში ბოლშევიკური რევოლიუცია დაიწყო და ამ მოკლე, სულ მოკლე ხანში მთელ ევროპაში ბოლშევიზმი გაბატონდებაო.

ევროპის საშინელმა ეკონომიურმა კრიზისმა საშინელ სასოწარკვეთილებაში ჩააგდო ზოგიერთი სახელმწიფოს ხალხი. ამ ეკონომიურმა კრიზისმა და რევოლიუციებმა შექმნეს ერთნაირი მაქსიმალისტური და ანარქისტული სულისკვეთება მუშათა კლასის ზოგ წრეებში. აი ამ მოვლენით სარგებლობდნენ ბოლშევიკები და უნდოდათ აქ ეპოვათ ნიადაგი. მაგრამ ცხოვრებას თავისი კანონები აქვს, მას ვერავინ გაექცევა შეუძლებელია.

მოკავშირე და ცენტრალურ ევროპის ქვეყნებთა შორის ომის შეწყვეტის შემდეგ ანარქისტულ-მაქსიმალისტურმა სულისკვეთებამ მუშათა ზოგ წრეებში უმაღლეს წერტილამდე მიაღწია, ეს წრეები ერთნაირ სასოწარკვეთილებას იყვნენ მიცემული. გერმანიის ქუჩებში გაიმართა სამოქალაქო ომი, უნგრეთში კომუნისტებმა ძალა უფლება ხელთ იგდეს, სერბიაში, ბოლგარიაში, იტალიაში, ეკონომიურათ ევროპის ამ უსუსურ ქვეყნებში კომუნისტები ლამობდნენ ძალა-უფლების ხელში ჩაგდებას. ბოლშევიკები ფიქრობდნენ, აი ეს არის დაიწყო რევოლიუცია ევროპაში.

გავიდა დრო. უნგრეთში კომუნისტებმა ვერ შეინარჩუნეს ძალა-უფლება. გერმანიაში გათავდა სამოქალაქო ომი და მისი უაზრობა და მისი მუშათა კლასისთვის მავნებლობა ბოლოს თვით გერმანიის კომუნისტებმა აღიარეს. ვერც სერბიაში, ვერც ბოლგარიაში, ვერც იტალიაში ბოლშევიკებმა ძალა ხელთ ვერ იგდეს და მათი გავლენა იქ არავისათვის ისე საშიშარი არ არის. არც ბელგია-ჰოლანდიაში, არც დანია-შვეციაში ისინი არავითარ სერიოზულ ძალას არ წარმოადგენენ სხვებთან შედარებით. საფრანგეთში მუშათა პროფესიონალური კავშირები მათი სამ მილიონ წევრებით ბოლშევიკების წინააღმდეგია; საფრანგეთის სოციალისტურ პარტიამ კი, რომელიც უკანასკნელათ პარლამენტში არჩევნების დროს ბოლშევიკურ აგიტაციას ეწეოდა, დაჰკარგა ორმოცი ადგილზე მეტი პარლამენტში. გერმანიაში პროფესიონალური კავშირები მათი ექვსი მილიონი წევრებით, მეუმრავლესეთა პარტია თავისი მილიონზე მეტი წევრებით და ნახევარი დამოუკიდებელთა პარტიისა წინააღმდეგია ბოლშევიზმისა. ავსტრიაში კომუნისტებს არავითარი ძალა არა აქვთ. შვეიცარიაში და ისპანიაში უნდათ, რომ ეხლავე განხილულ იქმნას მათი თანაგრძნობა ბოლშევიკებისადმი. ინგლისში, სადაც პროფესიონალურ კავშირებში რვა მილიონ ნახევარი მუშა შეკავშირებული, სადაც მუშათა კლასის სიძლიერეს თვით ბოლშევიკები არ უყოფენ უარს, ბოლშევიზმს არ აქვს არავითარი გასავალი. ამნაირათ, რამდენადაც ევროპაში მაქსიმალისტურ-ანარქისტული სულისკვეთება კლებულობს, რამდენადაც დიდი ენერგიაა მიმართული იმისკენ, რომ ეკონომიურ კრიზისს, სიმშილს და სიცივეს ევროპის სხვადასხვა ერებმა თავი დააღწიონ, იმდენათ ბოლშევიკებისადმი თანაგრძნობა, მათი იქ გავლენა დღითი დღე კლებულობს და ნელდება.

ყველა ამას ხედავენ ბოლშევიკები. ისინი ხედავენ, რომ მათ ევროპაში რევოლიუციის გამოწვევა ვერ შესძლეს და ეს შეუძლებელიც იყო. დრო გადის და კატასტროფების ილიუზიები ამ დროებით არ მართლდება. ევროპაში იწყება ხანა მუშათა კლასის გაერთიანებისა, მათი სოლიდარული მოქმედებისა და ორგანიული მუშაობისა. და თუ ევროპაში ბოლშევიკები ვერ გაბატონდენ, ისინი მაინც ცდილობენ, რომ აქ ყველგან ყავდეთ თუ გინდ მცირედი ჯგუფები, რომელნიც იქნებიან მათი აზრების დამცველნი. მაგრამ თუ ეხლავე ბოლშევიკებისადმი თანაგრძნობა, ხალხი არ გამოვყევით და არ გამოვთიშეთ სხვებს, მაშინ ადვილი შესაძლებელია, რომ ჩვენი მომხრეები გაითქვიფოს ჩვენ მოწინააღმდეგეებშიო. აი უმთავრესათ ამით აიხსნება ბოლშევიკების ცდა, რომ ევროპის მუშათა კლასში შეტანილ იქმნას განხეთქილება.

კ. გვარჯალაძე.

საქართველოს რესპუბლიკის საკითხი ნაციათა ლიგაში

ოქტომბრის 20-ს საქართველოს მთავრობის თავმჯდომარემ მიიღო ნაციათა ლიგის საბჭოს მდივნისაგან წერილი, რომლითაც იგი იტყობინებოდა, რომ 15 ნოემბრისათვის ჟენევაში დანიშნულია პირველი საზოგადო კრება ნაციათა ლიგის წევრებისა და ამ კრებაზე იქნება აღძრული და გარჩეული საქართველოს რესპუბლიკის ლიგის წევრად მიღების საკითხი. შესაძლოა, სწერდა საბჭოს მდივანი, კრებამ მოისურვოს თქვენი საკითხის შესახებ სიტყვიერი განმარტების მოსმენა, ამისათვის საჭიროა დანიშნოთ თქვენი წარმომადგენელი.

მთავრობამ ასეთ წარმომადგენლად დანიშნა ამ ჟამათ ევროპაში მყოფი საგარეო საქმეთა მინისტრი ე. გეგეჭკორი, რომელსაც იმ დღესვე 20 ოქტ. ეცნობა დეპეშით ამის შესახებ და ფოსტით გაეგზავნა საჭირო მანდატი.

ამასთან ერთათ დეპეშით და ცალკე წერილით ეუწყა ამის შესახებ ლიგის საბჭოს მდივანს.

ყველა საჭირო მასალა საქართველოს შესახებ ჟენევის კრებისათვის წარსადგენად ადრე გაეგზავნა ლიგის საბჭოს მდივანს ბ-ნ დრიუმონს, თანახმად მისი მოთხოვნისა.

საგარეო საქ. სამინისტროს საინფორმაციო ბიურო.

მუშათა სოციალური დაზღვევის საკითხები

საავათმყოფო კასების პირველ კონფერენციის მოლოდინში.

I.

არც ერთი დარგი მუშათა მოძრაობისა არ არის ისე ჩამორჩენილი ჩვენში, როგორც მუშათა სოციალურ დაზღვევის საქმე. ამ ჩამორჩენის მიზეზი ბევრზე ბევრია, მარა მაინცა და მაინც მისი ასე მივიწყება მიგდება, მეტი რომ არა ვთქვათ, პირდაპირ შეუწყნარებელია!..

აგერ მეოთხე წლის მიწურულია ჩვენი მეორე დიდი რევოლიუციის შემდეგ და ამ ხნის განმავლობაში დღეს პირველათ ვიწვევთ საავადმყოფო კასების კონფერენციას მუშათა სახელმწიფო ზომებით დაზღვევის კითხვების თეორიულ-პრაქტიკულ-ორგანიზაციულათ განსახილველათ!.

მარა საჯობს მიზეზ საყვედურებს თავი დავანებოთ და ისევ დასმულ კითხვას დავუბრუნდეთ.

როგორც ვიცით, მუშათა სახელმწიფო ზომებით დაზღვევა, ანუ მუშათა სოციალური დაზღვევა ახალი კითხვა არ არის.

სხვადასხვა ქვეყნებში იმის და მიხედვით, თუ რომელ საფეხურზე დგას ესა თუ ის კაპიტალისტური სახელმწიფო და როგორი ძალთა განწყობილება არსებობს კაპიტალსა და შრომას შორის, აყენებს პროლეტარიატი თავის მოთხოვნილებებს სოციალური დაზღვევის სფეროში.

საქართველოს მუშათა კლასი რუსეთის პროლეტარიატთან ერთად ერთ ორგანიზაციაში იბრძოდა სოციალური დაზღვევის მოსაპოვებლათ, ბოლშევიკ კომუნისტების მიერ დროებითი მთავრობის გადმოგდებამდე.

მხოლოდ შემდეგ, როცა რუსეთი დაუსრულებელი სამოქალაქო ომის ქარცეცხლში გაეხვია და ამის გამო საქართველო იძულებული შეიქნა თავის ვინაობის დასაცავათ გამოყოფოდა მას, ჩვენ ვალდებული გავხდით, არა თუ მუშათა სოციალური დაზღვევის კითხვები, არამედ მთელი მუშათა მოძრაობის ყველა ფორმები, სრული მუშათა კანონმდებლობა, და საზოგადოთ, მთელი პროლეტარული აღმშენებლობა თავს გვედო და საკუთარი სახელმწიფოს ფარგლებში გვეწარმოებინა!..

საქართველოს პროლეტარიატი სწორეთ ასე მოიქცა და აი ამან გამოიწვია ის ახალი მოვლენა, რომ ჩვენ სულ განსაკუთრებული მდგომარეობა დავიჭირეთ მსოფლიო მუშათა მოძრაობაში *) ეს გარემოება კი გვაიძულებს აქაც, როგორც მუშათა აღმშენებლობის სხვა დარგებში, შეუთანხმოთ ჩვენი შეკვეცილი, მთლიანი ლოზუნგები სოციალური დაზღვევისა იმ ეკონომიურ და პოლიტიკურ პირობებს, რომელშიაც დღესდღეობით ჩვენი ნორჩი, ჩვენივე ხელით შექმნილი რესპუბლიკა იმყოფება!..

და აი სანამ ამ ძირითად დებულებათა განხილვას შეუდგებოდეთ, მეტი არ იქნება თუ აღვნიშნავთ ყველა იმას, რაც გაკეთებული დღემდის მუშათა სახელმწიფო ზომებით დაზღვევის კითხვების მოსაგვარებლათ ჩვენი კანონმდებლობის მხრით, და ეს მით უფრო საჭიროა, რომ ჩვენი საკანონმდებლო ორგანოები ცალცალკე და ყველა ერთად, როგორც ორგანიზაციულათ, ისე იდეურათ საქართველოს პროლეტარიატზე ემყარება.

მარა, როგორც ვიციო, ყოველივე კანონმდებლობას მუდამ წინ უსწრებს თვით მასსიური მოძრაობა და საზოგადო აზრის შექმნა-შემუშავება. ამ მხრივ ფრიად საინტერესოა მთელი კავკასიის პროფესიონალურ კავშირთა პირველი კონფერენცია 1917 წელს მოწვეული ქ. თფილისში. ამ კონფერენციამ შემდეგ მუხლებში ჩამოაყალიბა მუშათა სოციალური დაზღვევის კითხვები: 1) მუშათა სახელმწიფოებრივი დაზღვევა უბედურ შემთხვევისაგან, 2) დაზღვევა ავადმყოფობის დროს, 3) უმუშევრობის დროს უზრუნველყოფა, 4) დაზღვევა მოხუცთა და შრომის უნარ დაკარგულთა, 5) მუშა ქალების მშობიარობის და შვილის აღზრდის დროს უზრუნველყოფა, 6) ბრძოლის ველზე დასახიჩრებულთა დახმარება.

---

*) იხილე ევროპიულ სოც. დელეგაციის სტ. ანგარიშები.

დღეს

ნაციათა ლიგის წევრების პირველ საზოგადო კრებაზე დასასწრებლათ საქართველოს მთავრობამ მანდატი გაუგზავნა ევგენი პ. გეგეჭკორს. კრება დანიშნულია 15 ნოემბრისათვის ჟენევაში.

სამხრეთის ფრონტზე ბოლშევიკები ვრანგელის ჯარებს უტევენ. ბოლშევიკებმა მელიტოპოლში ხელთ იგდეს: 3 ჯავშნიანი მატარებელი, 18 ზარბაზანი, 100 ვაგონი სამხედრო მასალით, 25 ორთქლმავალი და 2 მილიონი ფუთი ხორბალი.

ლონდონში მყოფ საბჭოთა რუსეთის წარმომადგენელმა კრასინმა ლორდ კერზონს მიმართა განცხადებით, სადაც ნათქვამია, რომ ნოვოროსიისკში მიმავალი იტალიის გემი „ანკონა" რომელსაც საბჭოთა რუსეთისათვის მიჰქონდა საქონელი, დაჰკავა ინგლისის სამხედრო გემმა და ბათომში დააბრუნა. ვინაიდან ინგლისს შავ ზღვაზე ბლოკადა არ ჰქონია გამოცხადებული, საბჭოთა რუსეთი მოითხოვს, რომ გემი განთავისუფლებულ იქნეს და დანიშნულ ადგილზე წავიდეს.

ყველა ეს ზომები—დაასკვნის კონფერენცია, უნდა შეადგენდეს ერთ მთლიან სისტემას მშრომელთა სოციალური დაზღვევის კანონმდებლობისა და ვრცელდებოდეს ყველა დაქირავებულ შრომის დარგზე.

მასთან ყველა ის დაწესებულებანი, რომლებიც განაგებენ სოციალურ დახმარების საქმეს, უნდა იყოს სავსებით მუშების ხელში.

რაც შეეხება ხარჯებს, ეს უნდა იკისრონ მეწარმოებლებმა და მუშები უნდა იქნენ სრულიად განთავისუფლებული.

მხოლოთ ამ ჩამოთვლილ ზომების გატარება შეუძლია ცენტრალურ მთავრობას,—განაგრძობს კონფერენცია,—და სანამ ეს მოხდებოდეს, ის მოუწოდებს პროფ. კავშირებს მიიღონ აქტიური მონაწილეობა საავათმყოფო კასების მოწყობაში დროებით მთავრობის 1917 წლის 25 ივლისის კანონის ნიადაგზე და იხელმძღვანელონ შემდეგით: 1) საავათმყოფო კასები უნდა მოეწყოს საერთო ადგილობრივი (МЕСТНАЯ б. касса), 2) საავათ. კასებმა უნდა შექმნან საოლქო და სრულიად სახელმწიფოს ცენტრები, 3) საერთო კასებმა თავიანთ ხელში უნდა აიღონ მუშებისთვის საექიმო დახმარების აღმოჩენა, 4) საექიმო დახმარების ხელში აღების დროს მუშებს უნდა უსასყიდლოთ გადაეცეს ყველა საავადმყოფოები და, იქ სადაც მეწარმოებლებს ასეთი დაწესებულებანი არ მოეძებნებათ, მათ მუშებს უნდა მისცენ საჭირო თანხა საავათმყოფოების ასაგებათ და მოსაწყობათ, 5) გარდა ამისა დაუყოვნებლივ უნდა გატარებულ იქნას ცხოვრებაში ყველა რეფორმა, რაც კი 25 ივლისის კანონმა მოიტანა.

მუშების უფრო სრული უზრუნველსაყოფათ სანიტარულ და საექიმო დახმარების მხრივ საავათმყოფო კასების განკარგულებაში უნდა იქნას გადაცემული აბასთუმნის და ბორჯომის სასახლეები და ომის გათავების შემდეგ ყველა ის ლაზარეთები, რომლებიც კარგათ არიან მოწყობილნი.

შემდეგ, რომ უფრო მიზანშეწონილათ იქნას გატარებული ყველა ეს ზევით ჩამოთვლილი ზომები, საჭიროა, დაასკვნის იგივე კონფერენცია—მოწვეულ იქნას საქალაქო, საგუბერნიო და საოლქო თათბირი საავათმყოფო კასების და პროფ. კავშირების წარმომადგენელთა თანდასწრებით.

აი ის ზომები, რომლის გატარება მიზნათ დაისახა კონფერენციამ.

ჩვენი მუშათა კანონმდებლობის კოდექსში არის სხვათა შორის 13 დეკემბრის 1919 წლის დამფუძნებელ კრების დეკრეტი, რომელმაც შესცვალა 65 მუხლი „მუშათა ავათმყოფობის დროს უზრუნველყოფის დებულებისა", შემდეგ იმავე წლის 31 იანვარს მიღებულ იქნა კანონი დასახიჩრებულ სამხედრო პირთა პენსიის შესახებ, ჯარში ახლათ გაწვეულ ოჯახების დახმარების შესახებ და ბოლოს 21 მაისს მიმდინარე წლისა კანონი „სოციალური დახმარების დროებითი წესებისა".

სხვადასხვა საპატიო მიზეზების გამო მუშათა დაზღვევის საკითხი ჯერ კიდევ ვერაა საჭიროდ მოწესრიგებული, ამას არც თვითონ შრომის სამინისტრო მალავს.

აი რა პასუხს აძლევს შ. სამინისტრო „ქ. თფილისის საერთო საავათმყოფო კასის" გამგეობას: „თქვენი მიმართვის გამო 30 ივნისის თარიღით № 123, შრომის სამინისტრო გაცნობებთ, რომ ის დიდი ხანია შეუდგა კანონპროექტების გამომუშავებას სოციალურ დაზღვევის ყველა საკითხებზე და მასთან ავათმყოფობის დროს დაზღვევის შესახებაც, მიუხედავათ ამისა, ამ მხრივ სწარმოებს მუშაობა, ახლო მომავალში კანონპროექტები იქნება დამზადებული, და სანამ მას დამფუძნებელ კრებაში შევიტანდეთ, ჩვენ იმას წარუდგენთ მუშათა ორგანიზაციებს განსახილველათ და დასკვნის გამოსატანათ".

ახალი.

P. S. ჩვენ გავიგეთ, რომ ამ დღეებში თფილისის პროფ. კავშირთა სეკრეტარიატი იწვევს გაფართოებულ კრებას სამინისტროს მუშათა ავათმყოფობის დროს სოციალურ დაზღვევის ახალ პროექტის და საზოგადოთ შრომის სამინისტროს სოციალური პოლიტიკის განსახილველათ. საჭიროა სეკრეტარიატმა ხშირათ მოიწვიოს ასეთი კრებები.

ა.

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო.)

ნოემბრის 1.

გერმანული ცნობები

პროტესტი.

გერმანიის სოციალ დემოკრატიული პარტიის კელნის კომიტეტი სასტიკ პროტესტს აცხადებს ანტანტის იმ ნაციონალისტურ ჯგუფების მიმართ, რომელნიც მოითხოვენ გერმანიის სახელმწიფოდან პრუსიის ჩამოშორებას.

სამხედრო ცნობა.

მოსკოვი. ნოემბრის 2. სამხედრო ფრონტზე ჩვენი შეტევა გრძელდება. მელიტოპოლში ჩვენ ხელთ ვიგდეთ 3 ჯავშნიანი მატარებელი, 18 ზარბაზანი, 100 ვაგონი სამხედრო მასალით, 25 ორთქლმავალი და 2 მილიონი ფუთი ხორბალი.

მიუხედავათ იმისა, რომ წითელი ჯარის წარმომადგენლებმა არა ერთხელ უთითებდა უსამართლობაზე, პოლონეთის მთავრობა ყოველთვის ორაზროვან პასუხს იძლეოდა. ჩვენთან ზავზე ხელის მომწერი ბურჟუაზიული პოლონეთი, საფრანგეთის ბირჟის ბრძანებით ჩვენთან ბრძოლას აპირებს, პეტლიურას სავინკოვის და ბალახოვიჩის საშუალებით. ეს ავანტიურა გამოგონილია იმიტომ, რომ მთელი ჩვენი ძალა ვრანგელის ფრონტს დასჭირდეს. მაგრამ საფრანგეთ პოლონეთის ავანტიურისტები იძულებული იქნებიან დარწმუნდენ, რომ ისინი სცდებიან. ვრანგელი უკანასკნელ დღეშია. ჩვენ შევიძლებთ ვაჩვენოთ მას, რომ თუ ჩვენ სისხლის ფასით ვყიდულობთ ზავს, ამ ზავზე ხუმრობის ნებას არავის მივცემთ. ლონდონში მყოფმა საბჭოთა მთავრობის წარმომადგენელმა ამხ. კრასინმა ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრს კერზონს უთხრა, რომ საბჭოთა მთავრობას სურს მშვიდობიანობა და ამიტომ მან ყველა განაპირა სახელმწიფოებთან შეკრა ზავი, მიუხედავათ ამისა ამ ტერიტორიაზე გამოჩნდენ ახალი რაზმები პეტლიურასი, ბალახოვიჩის და სავინკოვის. საბჭოთა მთავრობა დარწმუნებულია, რომ იგი თავის ტერიტორიიდან განდევნის. საბჭოთა მთავრობას სურს იცოდეს, რომ ინგლისის მთავრობა მხარს არ დაუჭერს ამ რაზმებს.

საბჭოთა რუსეთი და ინგლისი.

ლონდონში მყოფმა საბჭოთა რუსეთის წარმომადგენელმა კრასინმა ინგლისის საგ. საქ. მინ. კერზონს მიმართა განცხადებით, სადაც ნათქვამია, რომ ნოვოროსიისკში მიმავალი იტალიის გემი „ანკონა", რომელსაც საბჭოთა რუსეთისთვის საქონელი მიჰქონდა, დაჰკავა ინგლისის სამხედრო გემმა და ბათომში დააბრუნა. მიუხედავათ იმისა, რომ საბჭოთა რუსეთი ინგლისთან სამხედრო დამოკიდებულებაში არ იმყოფება და რომ ინგლისს შავ ზღვაზე ბლოკადა არ ჰქონია გამოცხადებული: საბჭოთა რუსეთი მოითხოვს, რომ „ანკონა" განთავისუფლებულ იქნეს და დანიშნულ ადგილზე წავიდეს.

საქ. დემ. სააგენტოს საინფორმაციო განყოფილება

აჯანყება პეტროგრადში.

ლონდონი. „დეილი მირორი" იუწყება: მიღებულია ცნობები იმის შესახებ, რომ პეტროგრადის ქუჩებზე ომი სწარმოებს. 1400 კრონშტადტელი მეზღვაური აჯანყდა ბოლშევიკების წინააღმდეგ. ბრძოლა ორი დღის განმავლობაში გრძელდებოდა. აჯანყებულები დაამარცხეს ჩინელების და ლატიშების რაზმებმა. „დეილი მირორი" შემდეგ ცნობებს გადმოგვცემს: აჯანყებულნი მეზღვაურნი მოვიდნენ პეტროგრადში კრონშტადტიდან, მეზღვაურები ვინტოვკებით და ტყვიის მფრქვევლებით იყვნენ შეიარაღებულნი. ერთი ღამის განმავლობაში აჯანყებულებმა ქუჩებში ბარიკადები ააგეს. არსენალის მუშებმა მიატოვეს მუშაობა და აჯანყებულებს შეუერთდნენ. შეტაკების დროს დაიჭრეს და მოკლეს 1100 მატროსი. დაატუსაღეს დახლოვებით 200 კაცი, მათ შორის 54 უკვე დახვრიტეს.

საფრანგეთის ჯარები ბოლშევიკების წინააღმდეგ იგზავნებიან.

ლონდონი. „დეილი მირორი" იუწყება: კონსტანტინოპოლში ჩავიდა საფრანგეთის ჯარების რამდენიმე რაზმი, რომლებიც სამხრეთ რუსეთში გაიგზავნებიან. ამ ჯარებმა ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლაში უნდა მიიღონ აქტიური მონაწილეობა.

ამერიკის ბაზარი.

ნიუ-იორკი. პრესის ცნობით ამერიკის ბაზრის უკანასკნელ ხანებში დიდი სიცხოვლე დაეტყო: მეტად გაძლიერდა პირველ მოთხოვნილების საგნების ექსპორტი. გერმანიიდან დიდძალი კონსერვებია შემოკვეთილი. უკანასკნელ ერთი კვირის განმავლობაში ამერიკის საქონლის ფასი 5—10% დაეცა.

აჯანყებები რუსეთში.

ლონდონი. „დეილი ტელეგრაფი" იუწყება: უკანასკნელად მოსული ცნობები ამტკიცებს, რომ საბჭოთა რუსეთში დიდი ამბები ხდება. ჰელსინგფორსიდან და სტოკჰოლმიდან მოსული დეპეშის თანახმად საბჭოთა რუსეთში აჯანყდენ არა მარტო გლეხები, არამედ ჯარიც, რომელიც უარს ამბობს ბრძანებების შესრულებაზე. წითელ არმიელებში სასტიკი დისციპლინა შემოიღეს. ბრძანების შეუსრულებლობისათვის წითელ არმიელებს ან სიკვდილით დასჯიან და ან ფრონტზე სავალდებულო მუშაობას მიუსჯიან. მე-8 და 74 ქვეითა პოლკებმა უარი სთქვეს სამხრეთის ფრონტზე წასვლაზე.

ახალი ამბები

◆ **შრომის სამინისტროში.** ბათომის შრომის კომისარის შეკითხვაზე, უნდა მივსცეთ თუ არა სალიკვიდაციო ფული იმ მუშებსა და მოსამსახურეთ, რომლებიც დათხოვნილი არიან იმ სადგომებისა, ან საწარმოო დაწესებულებების რეკვიზიციის გამო, რომლებშიაც ისინი მსახურებდნენ, შრომის სამინისტრომ განმარტა, რომ იმ შემთხვევებში, თუ მოსამსახურე დათხოვნილი იქნება არა თავის დანაშაულობისათვის, მაშინ დათხოვნილს უფლება აქვს სალიკვიდაციო ჯილდო მოითხოვოს. შრომის სამინისტრომ ფოთის საავადმყოფო კასას აცნობა, რომ იგი ვალდებულია წარუდგინოს სამინისტროს ანგარიში თავის მოქმედების შესახებ ყოველ სამ თვეში. ანგარიშში აღნიშნული უნდა იქნეს კასის მონაწილეთა რიცხვი, ავადმყოფობანი და მისი ხანგრძლივობა, თუ რამდენ პირს აღმოუჩინეს დახმარება, და რა სახით აღმოუჩინეს დახმარება, რამდენ დასახიჩრებულს მისცეს დახმარება და რამდენი დაიხარჯა კასის გარდაცვლილ წევრების დასაფლავებაზე და სხ.

◆ **ფოსტით საზღვარ-გარეთ კორესპონდენციის გაგზავნა.** ფოსტა ტელეგრაფის სამმართველომ უარყო ქართულ-ფრანგული სავაჭრო ბანკის წინადადება პალატასთან საზღვარ-გარეთის კორესპონდენციის მიღების მოწყობის შესახებ. თავის უარს ფოსტა ტელეგრაფის სამმართველო ასაბუთებს მით, რომ მოწყობილ სახელმწიფოში, სადაც ფოსტა წესიერათ მუშაობს, არ არის დასაშვები საფოსტო ოპერაციების საწარმოებლათ კერძო ორგანიზაციების არსებობაო. ამასთანავე ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველო აღნიშნავს, რომ თუ მართლაც ფრანგულ-ქართული სავაჭრო პალატა არის დაინტერესებული საზღვარ-გარეთის კორესპონდენციის გადაგზავნ-გადმოგზავნის მოწყობაში, უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა მიემართა პალატას საფრანგეთის მთავრობისათვის, რომ მას აღმოეჩინა თავის მხრით დახმარება საერთაშორისო ფოსტის კავშირში საქართველოს ჩარიცხვის საკითხის გარჩევის დროს.

◆ **მისალმება.** სამხედრო მინისტრმა სახალხო გვარდიის ყრილობის თავჯდომარეს შემდეგი მისალმების დეპეშა გაუგზავნა: რესპუბლიკის ჯარების სახელით ვუძღვნი სალამს სახ. გვარდიის ყრილობას და ვუსურვებ მას ნაყოფიერ მუშაობას მტკიცედ დარწმუნებული, რომ სახელოვანი გვარდია და არმია ურთიერთშორის მჭიდროდ შეკავშირებული ერთობაში ძალით დასძლევენ ყოველგვარ დაბრკოლებას მათ უზენაესი მიზნის განხორციელებაში—სამშობლოს დამოუკიდებლობის და მასში დემოკრატიული წესწყობილების განმტკიცებაში და დაცვაში ქართველი ერის სადიდებლად. სამხედრო მინისტრის მაგიერ გენერალი ოდიშელიძე.

◆ **დედათა და ბავშვთა დამხმარე საზოგადოების**-გამგეობამ აირჩია საგანგებო კომისია, რომელიც შეაგროვებს დახმარებებს (კარანდაშებს, კარტოფილს, ბამბას, სათამაშო ნივთებს და სხვა) ორი „ბავშვთა ბაღების"-სათვის და ორი „ბავშვთა კლუბებისათვის" საზოგადოების „ბავშვთა სახლებში". იმ პირთ, რომელთაც კომისია მიმართავს, გამგეობა სთხოვს კომისიას არ დასტოვონ უყურადღებოთ.

◆ **გორის ფონდი.** მოხისის კოოპერატივის გამგეობისაგან რვა ათასი მანეთი (8000 მ.) ნაესაკოვის პირველ დაწყებით სკოლისაგან 239 მანეთი, ბანძის რაიონის გვარდიის მოსამსახურეებისაგან 11519 მან. ბაშურის სასადილო „მშრომელ ქალის" სალიკვიდაციო კომისიისაგან 6902 მან. მე-6 რაზმის უფროსის ფანჯვირის მიერ შეგროვილი 3150 მან. დამფუძნებელ კრების ფონდისათვის—ვასილ გულისაშვილისაგან 100 მან. ფონდის სასარგებლოდ აბასთუმანში გამართულ საღამოს შემოსავალი მათიაშვილის ხელით გადმოგზავნილი 22,043 მან. ნ. სრესელის მიერ პროვინციის აქციზის მოხელეთა შორის შეგროვილი 4500 მან.

კრებები.

— ხუთშაბათს, 4 ნოემბერს, მუშათა კლუბში (პლეხანოვის პროსპ. 123) დანიშნულია საავათმყოფო კასის რწმუნებულთა საზოგადო კრება. დასწრება ყველა ამხანაგებისათვის სავალდებულოა. დღის წესრიგი: 1) კასის ფულის ანგარიში 9 თვის განმავლობაში; 2) ანგარიში გამგეობის მოღვაწეობისა; 3) მოხსენება სარევიზიო კომისიისა; 4) გამგეობის წევრთა დამატებითი არჩევნები; 5) საავათმყოფო კასების კონფერენციის მოწვევა და მოხსენება საორგ. კომისიისა; 6) ფირმების განცხადება, რომელნიც შეთანხმებულნი არიან კასასთან; 7) ინსტრუქცია შინა კომიტეტებისთვის (ავტონომიური კომისია); 8) მიმდინარე კითხვები.

— ნოემბრის 4-ს საღამოს 7 საათზე დანიშნულია ვერის რაიონის სახალხო გვარდიის საზოგადო კრება. გასარჩევია საჭირო კითხვები. ვერელი გვარდიელები კრებას უნდა დაესწრონ.

— 4 ნოემბერს თბილისის პოლიტეხნიკური ინსტიტუტის № 3 აუდიტორიაში დანიშნულია პოლიტეხნიკუმის ყველა ფაკულტეტების სტუდენტთა სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციის კრება.

— ოთხშაბათს, 3 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე, „ერთობის" ქუჩა № 4 ბეურის ბინაზე დანიშნულია საქართველოს ს. დ. მ. პ. სომხურ სექციის კრება. ამხანაგების დასწრება აუცილებელია.

— ა. წ. 7 ნოემბერს, კვირას დღის 12 საათზე, დანიშნულია საქართველოს მასწავლებელთა კავშირის საბჭ. სხდომა. გადასწყვიტა უმთავრესად დელეგატთა ყრილობის მოწვევასთან დაკავშირებული საკითხები. ყველა წევრები და კანდიდატები ვალდებულნი არიან დაესწრონ.

— დღეს, საღამოს 6 საათზე სახელმწიფო უნივერსიტეტში შესდგება მარქსისტ სტუდენტთა ეკონომიური წრის მორიგი მეცადინეობა.

— მეორე რაიონულ კოლექტივის და რაიონში არსებულ ყველა მცირე კოლექტივების შეერთებული სხდომა დანიშნულია ხუთშაბათს, 4 ნოემბერს საღამოს 6 საათზე ახალი დროით. მცირე კოლექტივებიდან პარტიული მუშაობის მდგომარეობის შესახებ.

— დღეს, საღამოს 8 საათზე, სახელმწიფო უნივერსიტეტში დანიშნულია ს. დ. სტუდენტთა ბიუროს სტუდენტთა კოოპერატივის და სასადილოს გამგეობის სოც. დემ. ფრაქციის შეერთებული სხდომა.

ეროვნულ-დემოკრატების მოღვაწეობა

სარწმუნო წყაროებიდან გავიგეთ, რომ დამფუძნებელი კრების წევრს ეროვნულ დემოკრატიულ პარტიის ლიდერს ბ-ნ გიორგი ბეჟანის ძე გვაზავას ფინანსთა სამინისტროს ნებართვით სომხეთიდან ტრანზიტით ოსმალეთში უნდა გაეყვანა ათი ათასი სული ხარი და ძროხა. ნამდვილად კი ეს ოთხ ფეხი საქონელი გვაზავას გაჰყავს საქართველოს საზღვრებიდან, გუშინ ეს საქონელი, რომელსაც გემზე სხამდენ სახალხო გვარდიის საოლქო შტაბის განკარგულებით დაკავებულ იქმნა და ამ საქმის გამოძიება დაიწყო.

(ბათუმის ფურცელი, № 42).

მთავრობაში

მთავრობამ ოქტ. 26 სხდომაზე დაადგინა: დაევალოს ფინანსთა და სამხედრო მინისტრებს გადასწყვიტონ საკითხი თუ როგორ იქმნას გადახდილი ინგლისის ჯარისა და ბარგის გადასზიდავი ფული, რომელიც საქართველოს რკინის გზას ერგება.

—

უარყოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წინადადება შესახებ იმისა, რომ თფილისის ქალაქის თვითმართველობას მიეცეს საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებიდან საქონლის გატანის უფლება. ამასთანავე დაადგინეს დაჩქარებულ იქმნას ქალაქთა საბიუჯეტო უფლების კანონ პროექტის დამუშავება.

—

თანახმად ქ. ლანჩხუთის ქალაქთა თვითმართველობის დადგენილებისა, გადაეცეს მას კვასძახის მამული უკვე შეფასებულ ფასებში.

—

მთავრობამ მოისმინა ქალაქ ბათომზე სანიტარულ გადასახადის გავრცელების შესახებ მოხსენება და დაადგინა: 1. გავრცელდეს ბათომზე დამფუძნებელ კრების ივლისის 18 დადგენილება. ამ დადგენილების ძალით ქალაქის თვითმართველობას უფლება ეძლევა განსაზღვროს სანიტარული გადასახადის რაოდენობა შინაგან საქმეთა სამინისტროსთან შეთანხმებით. 2. დაევალოს ჯანმრთელობის დეპარტამენტს, რომ სანიტარულ გადასახადის სახით მოკრებილი თანხა მოახმაროს თავის დანიშნულებას.

—

მთავრობამ დაადგინა: შედგენილ იქმნას კომისია მომარაგების სამინისტროს თავმჯდომარეობით სახელმწიფო დაწესებულების მოსამსახურეთა კოოპერატივისათვის დახმარების აღმოსაჩენათ. დასახელებულ კომისიაში უნდა შევიდნენ ფინანსთა და შინაგან საქმეთა მინისტრები და სახელმწიფო კონტროლიორი.

—

მთავრობამ ოქტომბრის 26 სხდომაზე დაადგინა ჩამოერთვას და წითელი ჯვარის საზოგადოებას გადაეცეს 26 მაისის ქუჩაზე მდებარე მამული თამამშევისა. მამულის შეფასება სასამართლოს მიენდო.

—

ყოფილ მიხეილის საავადმყოფოდან მიეცეს [illegible] ინსტიტუტს 20 ლოგინი შტატითა და ინვენტარით კლინიკის 20 ლოგინი კი გადმოტანილ იქმნას მიხეილის საავადმყოფოში.

—

კვირცხანის სპილენძის ჩამომსხმელ ქარხანას ფინანსთა სამინისტროს სამრეწველო ფონდიდან მიეცეს 10 მილ. მანეთი სესხათ. ფინანსთა მინისტრს დაევალა მოელაპარაკოს ქარხნის მეპატრონეებს, რათა მთავრობა ქარხანაში წილი ექმნეს.

განის „მცირე განმარტების" გამო

ჩვენს საჭირო განმარტებას, რომელიც გამოწვეული იყო განის ცალმხრივი წერილის გამო მოჰყვა, განის „მცირე განმარტება" („ერთობა" № 244) სადაც ის მთავარ შტაბის განმარტებას აფ. ურატაძის საქციელის გამო არ ეთანხმება და შემდეგს სწერს: „აფ. ურატაძე გამოცხადდა საოლქო შტაბში, რომელმაც ის გაანთავისუფლა ავათმყოფობის გამო, შესაფერი დოკუმენტი მისცა და პირი ამ დოკუმენტისა გადაუგზავნა თავის რაიონულ შტაბს, ამ რიგათ რაკი ფაქტი გამოუცხადებლობისა არ ყოფილა, ცხადია, ყველა ის დასკვნები, რომელიც ამ ფაქტიდან გამომდინარეობს უნდა მოიხსნას".

განი ქვევით ეხება რა იარაღის ჩამორთმევას, აღიარებს ამ ფაქტს კანონის დარღვევათ და წერილს ათავებს შემდეგი სიტყვებით:

„სამწუხაროთ, დარღვეული კანონიერება ჯერაც არაა აღდგენილი და სანამ ეს არ მომხდარა ჩვენი წერილის შინაარსიც ძალაში რჩება".

ამგვარად განი „ერთობის" ფურცლებზე თავის წინანდელ ბრალდებას იმეორებს, სრულიად ზურგს აქცევს საზოგადოებრივ ჭეშმარიტებას, გამოდის კერძო ინტერესების დასაცავათ და მით შეცდომაში შეჰყავს მკითხველი საზოგადოება, დემოკრატია.

სახალხო გვარდიის მთავარმა შტაბმა თავის „საჭირო განმარტება", რომელიც გამოაქვეყნა, მეტად ობიექტიურათ დაასახა მომხდარი ფაქტი და შეცდომა განისა შტაბს სრულიად აზრად არ ჰქონია დაწვრილებით მიექცია ამ ამბავისათვის მკითხველთა საზოგადოების ყურადღება, რადგანაც ეს არ იყო საჭირო.

ეხლა კი ეს წესი დარღვეულია, ლანჩხუთის და გურიის ხელმძღვანელ ორგანიზაციების საერთო აზრი შელახულია, სინამდვილე და ფაქტი განის მიერ გამასხარავებულია და ამ გვარათ კერძო საქმე საკამათოთ პრესაშია გამოტანილი.

სახალხო გვარდიის მთავარი შტაბი ყოველივე საღ კრიტიკას, ამხანაგურ რჩევა-დარიგება სიამოვნებით ღებულობდა და ღებულობს, მაგრამ თუ ეს კრიტიკა კერძო საქმიანობით არის გამოწვეული, თუ მისი მიზანია დანაშაულობა დაიფაროს, დამნაშავე უდანაშაულოთ გასაღდეს და უდანაშაულო დამნაშავეთ, მაშინ მთავარ შტაბს არ შეუძლია ამ მოვლენას ანგარიში არ გაუწიოს და სინამდვილეს ფარდა არ ახადოს.

აფრასიონ ურატაძის საქმე სრულიად უმნიშვნელო ამბავია ჩვენს ცხოვრებაში, მხოლოდ, სამწუხაროთ ეს უმნიშვნელო ამბავი გაახვიადა განმა და ამ მიზნისათვის გამოიყენა პარტიის მთავარი ორგანო „ერთობა" და მკითხველ საზოგადოებას იქიდან არწმუნებს, რომ სრულიად „მშვიდობიანი მოქალაქე" დასაჯა გვარდიამო.

მთავარი შტაბი მართლაც სწუხს, რომ ამის გამო მას უხდება მკითხველ საზოგადოებას გააცნოს ის, რაც წინეთ მოკლეთ თავის „საჭირო განმარტებაში" აღნიშნა.

განმა თავის პირველ წერილში სრულიად დაუმალა მკითხველ საზოგადოებას „მშვიდობიან მოქალაქის" აფრასიონ ურატაძის საქციელი და აღნიშნა, რომ „იარაღი ჩამოართვეს და კანონიერება დაარღვიესო". ამ ნახით მან დააჩრდილა მიზეზი, დანაშაულობა და შეეცადა მეორე წერილშიაც ამის დადასტურებას.

მართლაც რაში იყო საქმე? ვინ სჩადის სიყალბეს?

აფრასიონ ილარიონის ძე ურატაძე სახალხო გვარდიაში ჩაწერა 1900 წ. 4 იანვარს ის შეტანილი იქნა სიაში და ჩვეულებრივი წესის თანახმათ გახდა გვარდიის მოვალეობის ამსრულებელი.

სახალხო გვარდიას აქვს თავის კანონი, ამ კანონის ძალით გვარდიელს თუ შესაფერი მიზეზები არ აქვს, არ შეუძლია თავისი სურვილით წავიდეს გვარდიიდან და აგრეთვე ის ვალდებულია მოვალეობის მოსახდელად ყოველ მობილიზაციის დროს გამოცხადდეს და წავიდეს ლაშქრობაში. ვინც ამას არ ასრულებს, ის სამხედრო წესების თანახმად გასამართლდება.

18 თებერვალს გამოცხადდა გურიის გვარდიის მობილიზაცია. ეს იყო იმ დროს როცა ჩვენი ჯარი და გვარდია ხანიორის და გოდერძის ყინულებს სჭრიდენ, მიდიოდენ მოვალეობის აასრულებლად და მეორე ნაწილი კი ქობულეთის მიმართულებით მიდიოდა.

აი, ამ მობილიზაციის დროს აფრასიონ ურატაძემ დაიზარა წასვლა, სთხოვა ლანჩხუთის შტაბს დატოვება და მაშინ შტაბმა მისი თხოვნა შეიწყნარა, დარჩა ლანჩხუთში თავის საქმეზე.

აპრილში ჩვენი დემოკრატიული რესპუბლიკა საფრთხეში ჩავარდა, ყოველ მხრივ მტერი შემოესია. მთელ საქართველოში 24, 25, 26, 27, 28, 29, 30 აპრილს ყველგან გვარდიის სასწრაფო მობილიზაცია გადიოდა.

30 აპრილს კი ლანჩხუთში იყო უკანასკნელი დღე მობილიზაციისა.

აფრასიონ ურატაძემ ლანჩხუთის შტაბს სთხოვა დროება. შტაბმა 3 მაისამდე მისცა ვადა, სამ მაისს, ნაცვლათ იმისა, რომ შეერთებოდა ურატაძე ომში წამსვლელ სახალხო გვარდიელებს, ის დაატყვევეს ლანჩხუთის სადგურში, რომელიც თავის მეუღლით ლანჩხუთიდან გაპარვას აპირებდა. როდესაც ურატაძე შტაბში მიიყვანეს, მან იუკადრისა სადგურიდან წამოყვანა, უწმაწური სიტყვებით შეურაცხყოფა მიაყენა იქ მყოფ სახალხო გვარდიელებს, შტაბის წევრებს აფიცრებს. ურატაძე ამით არ დაკმაყოფილდა და აგრეთვე ცუდათ მოიხსენია მთელი სახალხო გვარდია, სოც.-დემ. პარტია და განაცხადა: 1) თქვენთან არ ვიკადრებ წასვლას, 2) მე არას გზით არ მივდივარ და რაც გინდათ ის ქენით; 3) მე არ ვარ გვარდიელი და არც პარტიის წევრი, არ მსურს არცერთიო".

ურატაძე საქციელს და მის უწმაწურ სიტყვებს აღელვება გამოუწვევია იქ მყოფთა შორის, მაგრამ ყველას თავი დაუჭერია. გამოძიებები ამტკიცებენ, რომ მას სამხედრო მოძრაობის დროს მეტად ცუდი შთაბეჭდილებანი მოუხდენია ბრძოლის ველზე წამსვლელ მეომართა შორის და აგრეთვე საერთო საქმისთვის დიდი ზიანი მიუყენებია.

იმ დროს, როცა ჩვენი ქვეყანა ბრძოლის ველათ იყო გადაქცეული და როდესაც მოქმედებდა სამხედრო წესები აფრასიონ ურატაძემ უარი განაცხადა მობილიზაციაში წასვლაზედ, დაარღვია ქვეყნის ძირითადი კანონი, დაარღვია მოქალაქობრივი დისციპლინა, და ხალხის სულიერ განწყობილებაში ადგილობრივად შეიტანა თავისი მავნე და სამწუხარო უარყოფითი მხარეები.

ლანჩხუთის საოლქო შტაბმა აქ შეცდომა ჩაიდინა, რომ დასთმო და ურატაძე არ გადასცა სამხედრო საველე სასამართლოს.

გამოძიებიდან დამტკიცდა, რომ ურატაძემ მასხარად აიგდო [illegible] და ბრძოლაში მიმავალი გვარდიელები.

განი კი ეყრდნობა მხოლოდ აფ. ურატაძის „წყაროებს" და სრულიად ყურადღება არ მიუქცევია სინამდვილისათვის.

ადგილობრივმა ლანჩხუთის შტაბმა სასწრაფოდ დანიშნა გამოძიება და მოწმეების ჩვენებით დამტკიცდა, რომ ურატაძემ ჩაიდინა დანაშაული და ყველა მოწმეების ჩვენება ერთს და იმავეს ამტკიცებდა; **ურატაძე გაექცა მოვალეობას**, ურატაძემ სრულიად უკანონოთ გასთელა ფეხს ქვეშ უფლება აფიცრისა, შტაბისა, გვარდიელებისა, სახელმწიფო კანონისა. ამიტომ 22 **აპრილს** რაიონულმა შტაბმა დაადგინა აფრასიონ ურატაძის გარიცხვა, როგორც მავნე პირის. ამ დადგენილებიდან გამომდინარეობდა ლოღიკურათ განიარაღებაც. შტაბი საერთო წესით ვალდებულია, როცა გვარდიიდან აძევებენ ვინმეს, იარაღი უნდა ჩამოართვან, ჯერ ერთი სრულიად დაუშვებელია ორი თოფი ჰქონდეს ვინმეს, როცა ამისი დიდი საჭიროება აქვს სახელმწიფოს და მეორეთ ისიც იმ პიროვნებას, ვინც გაურბის ხალხის მოთხოვნილებას, არღვევს კანონს და დედაბრულად გაურბის ბრძოლას თავდაცვისათვის.

ჩამორთმეულ თოფის, იარაღის შესახებ შესაფერი დადგენილება მიღებულია—უნდა ეცნობოს მთავარ შტაბს და აგრეთვე საღაც ჯერ არს.

ეს წესი კი განს არ ცოდნია.

ლანჩხუთის შტაბის გარეთ ურატაძის მოქმედებამ აამოძრავა ადგილობრივი ხალხი.

რაიონულმა ორგანიზაციამ დანიშნა სასწრაფო გამოძიება და გამომძიებელმა კომისიამ 31 ივლის ლანჩხუთის რაიონულ ორგანიზაციას, რომელსაც დაესწრო ყველა ძირითად ორგანიზაციების წარმომადგენლები, წარუდგინა ყველა მასალები, გამოძიებაში თვით ურატაძის ხელ მოწერილი ჩვენება და ბრალდებები.

რაიონულმა ორგანიზაციამ მოხსენების შემდეგ ერთხმათ დაადგინა: „აფრასიონ ილარიონის ძე ურატაძე გამორიცხულ იქნას პარტიიდან თავის ცუდი მოქმედების გამო. გამოცხადდეს გაზეთში და მოხსენდეს პარტიულ ყრილობას". (ოქმი № 18).

ასეთი იყო პირვანდელი ამბავი. იარაღი კი მიუხედავათ კანონიერათ ჩამორთმევისა, მთავარი შტაბის განკარგულებით, ვინაიდან მაშინ საქმის ვითარება სწორათ არ იცოდა, მთავარმა შტაბმა დაუბრუნა თოფები ურატაძეს, მხოლოდ რევოლვერი ინახება საოლქო შტაბში.

განი ამბობს, რომ ავადმყოფობის გამო გაანთავისუფლეს ურატაძეო.

მაისის ბოლო რიცხვში ურატაძე გამოცხადდა შტაბის წევრ იმნაიშვილთან და უთხრა, ის განთავისუფლებულია ექიმისაგან.

მოწმობა დოკუმენტები შტაბისათვის არავითარი არ გადაუცია. საოლქო შტაბის განმარტებით ის შემდეგ მობილიზაციისა ოზურგეთში ექიმებს გაუნთავისუფლებია „ავათმყოფობის" გამო 35 სტატიის ძალით.

იცის თუ არა განმა, რა სტატიაა ეგ? ეს ის სტატიაა, რომელსაც ძველ დროში არავითარ ანგარიშს არ უწევდენ და ამ სტატიით სახლში გაჩერება და ასეთ „ავათმყოფის" დაცვა სამწუხაროა ჩვენი დროისათვის და შეგნებულ გულშემატკივარ მოქალაქისათვის.

ჩვენ ვიცით და უნდა იცოდეს განმა, რომ იმ დროს, როცა განსაცდელი იყო, რამდენი ავათმყოფი ამხანაგი ჯარის კაცები და გვარდიელები იყო ბრძოლის ველზე და მათ სახეებზე უკმაყოფილებას ვერ ამოიკითხავდით.

ასე ასრულებდენ მოვალეობას და აგრეთვე დაჭრილებიც უარს აცხადებდენ ბრძოლის ველის მოშორებაზე, რადგანაც ისინი ხედავდენ ქვეყნის მძიმე მდგომარეობას.

და ამ დროს რომ ფარმაცევტი, აფრასიონ ურატაძეს, დაჭრილ დაავათმყოფებულ მეომართათვის წამალი გაეკეთებია ზურგს უკან განი ეს არ შეეძლო.

ბ-ნ აფრასიონ ურატაძეს განი სრულიად უბრალოთ იცავს იმ დროს, როცა მას მისი ძმა დამფუძნებელი კრების წევრი გ. ურატაძე არ იცავს და დამნაშავეთ სცნობს.

აბა მოუსმინოთ მის ძმასაც. აფრასიონ ურატაძის მოქმედებით შეწუხებული გრ. ურატაძე 9 აგვისტოს ლ. ნ. შტაბს შემდეგს სწერდა:

„ლანჩხუთის გვარდიის შტაბს.

მე გავიგე, რომ ჩემს ძმას თქვენთან უსიამოვნება მოსვლია. მე გთხოვთ ამხანაგურათ ეს საქმე დასთმოთ და მე მას ბოდიშს მოვახდევინებ. მე იმედი მაქვს, რომ ამ ჩემს ამხანაგურ თხოვნას აასრულებთ. ბევრს არ გწერთ, რადგანაც ჩვენს შორის ბევრი სიტყვა საჭირო არ არის. ეს ერთი გთხოვთ დასთმოთ და აწ არ განმეორდება. იკმარეთ მისი ბოდიში და ჩემი თხოვნა. იმედი მაქვს ამ თხოვნას აასრულებთ. მე მას ამის შესახებ შესაფერად მოვეპყარი და ისიც ეყოფა. თქვენი გრიშა ურატაძე".

რას ნიშნავს ეს? სწორეთ სამწუხაროა, რომ ყველა ამ გამოძიების და გამორკვევის შემდეგ დაიბეჭდა განის წერილი „ერთობაში" (№ 214), რის გამო მთავარ შტაბიდან მიეცა განკარგულება საოლქო შტაბს, რომ გამოძიება მოეხდინა სასწრაფოდ, აგრეთვე მოითხოვა განმარტებები ადგილობრივ შტაბისაგან.

ყველა ამ მასალების მიღების შემდეგ მივაწოდეთ ჩვენ მკითხველ საზოგადოებას განმარტება.

განის წერილის გამო გამოირკვა, რომ ლანჩხუთის ადგილობრივ შტაბს და რაიონულ ორგანიზაციას ორ-ორჯერ გამოუგზავნიათ „ერთობის" რედაქციისათვის განმარტებითი და საპასუხო წერილები, მაგრამ არ მოუთავსებიათ, რაც ჩაითვლება დაუშვებლათ. და ბოლოს მთავარ შტაბმა მიიღო გურიის საოლქო შტაბის გამოძიება და მისივე დადგენილება. გამოძიება ადასტურებს სრულიად ლანჩხუთის ორგანიზაციების გამოძიებას და ურატაძის ცუდ საქციელს. გურიის საოლქო შტაბს გამომძიებელ კომისიის მოხსენების მოსმენის შემდეგ დაუდგენია (ოქმი № 69) შემდეგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გი: 1) აფრ. ურუტაძის საქციელი შტაბის და გვარდიის მიმართ ყოვლად დაუშვებელია, რომელიც მოხდა იმ დროს, როცა ქვეყანა გარეშე საფრთხის გამო დიდ განსაცდელში იყო, 2) რაიონული შტაბის განკარგულებით ურატაძის სახლი არვის გაუჩხრეკია. 3) დამფუძნებელი კრების წევრის არავითარი ნივთი შტაბს არ მიუთვისებია და სხვა.

აი მოკლეთ მთელი ისტორია, საქმის ფაქტიური სინამდვილე, მთელი ორგანიზაციების, გამოძიებანი, დასკვნები, დადგენილებები აშკარათ აღიარებენ ჭეშმარიტებას და ამ ჭეშმარიტებას გაურბის განი. რატომ? ეს დააფასოს მკითხველმა საზოგადოებამ მხოლოდ ჩვენ ვაცხადებთ შემდეგს: უკეთესია თავიანთ კერძო საქმეს ნუ ანაცვალებენ საზოგადოებრივ საქმეს და ამ მხრით როგორც ჩვენ საერთო მოძრაობას, ისე მკითხველ საზოგადოებას, ზიანს ნუ მიაყენებენ. თუ ვინმეს ამხანაგების დახმარება არ შეუძლია,—ხელს მაინც ნულარ შეუშლიან ამ მძიმე და რთულ პირობებში.

სახალხო გვარდიის მთავარი შტაბი.

სახალხო გვარდიის მეორე ყრილობა

29 ოქტომბერი. დილის სხდომა.

თავმჯდომარეობს ნ. ელიავა.

ზაქარია გურული აკეთებს მოხსენებას გვარდიის წესდების და კანონების ზოგიერთ მუხლების შეცვლის შესახებ. მოხსენებას კამათი არ გამოუწვევია.

მთელი სხდომა მოუნდა მუხლობრივ გარჩევას, შესწორების მიღებას. დიდი კამათი გამოიწვია გვარდიაში სამხედრო ჯილდოს შემოღების შესახებ. სექციის წინადადება იყო, რომ ეს საკითხი პრინციპიალურათ მიღებული ყოფილიყო, მოწინააღმდეგენი ამტკიცებდნენ ამ საშუალების გვარდიაში მოსპობის აუცილებლობას.

ყრილობამ 77 ხმის წინააღმდეგ მიიღო დადგენილება, რომლის ძალითაც ეს მუხლი მთლად ამოიშლება წესდებიდან და ამასთანავე აღინიშნება, რომ გვარდია წინააღმდეგია ყოველივე ჯილდოსი.

სხდომის დასასრულ არჩეულ იქნა 7 კაცისაგან შემდგარი სარეკომენდაციო კომისია, რომელიც დაასახელებს კანდიდატებს მთავარი შტაბის წევრებათ.

29 ოქტომბრის საღამოს სხდომა.

თავმჯდომარეობს ამხ. ნ. ელიავა. შემდეგ ამხ. ი. გაბუნია და ქუმბურიძე. მთავარ შტაბის წევრი რ. აუშტროვი აკეთებს მოხსენებას სახალხო გვარდიის სამხედრო ნიშნებისა და ფორმის შესახებ. მცირე შესწორებებით და ფორმისა და ნიშნების ტარებაში უმნიშვნელო ცვლილების შეტანით ყრილობა ამტკიცებს უკვე არსებულ ფორმასა და სამხედრო ნიშნებს.

ამხ. ვ. ჯუღელი აკეთებს მოხსენებას დისციპლინისა და პასუხისმგებლობის შესახებ გვარდიაში. მომხსენებელი აღნიშნავს ახალ წესდების საჭიროებას და იმედოვნებს, რომ ამ საქმისათვის მოწოდებული განსაკუთრებული კომისია შეეცდება მალე მოაგვაროს ეს საკითხი, თუმცა ეს საქმე არც ისე ადვილი გასაკეთებელია. საერთო დებულების სახით მომხსენებელი მოითხოვს, რომ მთავარ და საოლქო შტაბის განკარგულებებს მტკიცეთ ასრულებდნენ ქვემდგომი ორგანიზაციები, შემოღებულ იქნეს სასტიკი პასუხისმგებლობა სამსახურის საქმეების ასრულების დროის და დაუდევრობა სასტიკათ იქნეს დასჯილი, კერძოთ დაუდევრობა ცხენების მოვლის დროს და სხვ.; მოითხოვს აგრეთვე, რათა მთავარ შტაბსა და სხვებს უფლება ჰქონდეთ იძულებით შრომაში ჩააბან დანაშაულობისათვის დაპატიმრებულნი გვარდიელები. ამხ. ს. გოცაძე მოითხოვს, რათა უკანასკნელ სასჯელის მოხდის დროს არ მიეცეთ ჯამაგირი. ამხ. ალ. დგებუაძეს მოჰყავს კონკრეტიული მაგალითები იმის საილუსტრაციოთ, თუ როგორი ზიანის მოტანა შეუძლია დაუდევრობას განკარგულებების შესრულების დროს. აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ ყრილობა იღებს მომხსენებლის მიერ წამოყენებულ დებულებებს და ავალებს მთავარ შტაბს მის დეტალურათ დამუშავებას.

ჯუღელისავე მოხსენებით ყრილობა იღებს საერთო მოსაზრებებს ომის დროს, ფრონტზე საველე შტაბების საჭიროების შესახებ. მოწონებული იქნა აგრეთვე წინადადება, რათა ომის დროს თავდაცვის საქმეში გვარდია გაძლიერებულათ იქნეს წარმოდგენილი.

დამატებითი მოხსენებას სამანდატო კომისიის სახელით აკეთებს ამხ. ს. გოცაძე. ყველა სადაო მანდატები დამტკიცებულ იქნა.

კულტურულ სექციის მუშაობის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. ვასაძე. სექციის მოსაზრებები კულტურულ მუშაობის გაძლიერების შესახებ გადაეცემა მასალათ ახალ მთავარ შტაბს.

მედიკო-სანიტარულ სექციის სახელით მომხსენებელია ექ. ცინცაძე. ყრილობა იღებს წინადადებას, რათა გადიდებული იქნეს საწოლების რიცხვი გვარდიის საავათმყოფოში შესაძლებლობის ფარგლებში. დასახიჩრებულ გვარდიელთა ოჯახებს გვარდია გაუწევს დახმარებას საქმით რჩევებით.

ცხარე აზრთა გაცვლა გამოცვლა გამოიწვია გვარდიის მუშა მოსამსახურეთა განცხადებამ. აღნიშნული მუშა მოსამსახურენი მოითხოვენ, რათა მთავარ შტაბსა და მათ შორის არსებობდეს განსაზღვრული ნორმალური დამოკიდებულება. ამხ. დ. სალირაშვილი განმარტავს, რომ დღემდე ამ დამოკიდებულებათა ნიადაგზე არავითარ გაუგებრობას არ ჰქონებია ადგილი. მუშა-მოსამსახურეთა განმარტებით, ისინი არ მოითხოვენ, რათა იურიდიულათ ცნონ მათი პროფესიონალური კავშირი. ცხარე სიტყვაში ამხ. ალ. დგებუაძე გადაჭრით უარყოფს პროფესიონალურ კავშირის არსებობას სამხედრო ორგანიზაციაში, ვინაიდან ეს ხელს შეუშლის აღნიშნულ ორგანიზაციის მუშაობას ომის დროს. დასასრულ ყრილობა აღიარებს, რათა მუშა-მოსამსახურეთა და მთავარ შტაბს შორის დარჩეს ის კეთილ დამოკიდებულებითი განწყობილება, როგორიც დღემდე არსებობდა.

შემდეგ კრება არჩევს ზოგიერთ წვრილმან საკითხებს. დასასრულ ვალ. გოგუაძე გამოდის განსაკუთრებულის განცხადებით. იგი აღნიშნავს ბევრ ბოროტმოქმედებებს, რასაც ჩადიან სხვადასხვა პირები (ზოგიერთი გვარდიელებიც) და აღნიშნავს აგრეთვე იმას, რომ ეს ბოროტმოქმედებები დაუსჯელი რჩება. იგი მოითხოვს, რათა გვარდიას ჰქონდეს უფლება ბოროტმოქმედებათა წინააღმდეგ ბრძოლის უფლება.

ვალ. ჯუღელის წინადადებით ყრილობა იღებს შემდეგ საერთო დებულებას: ყრილობას საჭიროთ მიაჩნია, რათა მთავრობამ მიიღოს სასტიკი ზომები ბოროტმოქმედთა წინააღმდეგ და გვარდია მას ყოველგვარ დახმარებას გაუწევს ამ საქმეში. გოგუაძის მიერ წარმოდგენილი ფაქტიური მასალები პრეზიდიუმმა ევალება გადასცეს გოგუაძესთან ერთად მთავრობას.

30 ოქტომბრის სხდომა

თავმჯდომარეობს ნიკო ელიავა

დახურულ სხდომაზე მოხდა მთავარი შტაბის წევრების არჩევნები. არჩეულ იქნენ: ვ. ჯუღელი, ალ. დგებუაძე, ანდრია ქიაბრიშვილი, ანანია სალუქვაძე, დათიკო სალირაშვილი, რუბენ აუშტროვი, ლეო რუხაძე, სანდრო ფარნიევი, ემილ სირბილაძე, ილიკო ქარცივაძე, სტეპკო ფარქოსაძე, მიკიჩა ვარდოიანი, მიშა ძამანაშვილი, თეოფილე შენგელია, ნაპოლეონ კახიანი, ვასო გოგიშვილი, იაკობი ხარაში, ბენედიქტე დგებუაძე, გლახოიანი და გოგიტა ფაღავა.

არჩევნების შედეგებს ყრილობა ტაშისცემით შეხვდა. შემდეგ ამისა წაკითხულ იქნა ტექსტი მისალმების დეპეშებისა სამხედრო მინისტრს, დამფუძნებელ კრებას, მთავრობის თავმჯდომარეს კარლ კაუცკის და მუშათა პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს.

ახლად არჩეულ მთავარი შტაბის სახელით სიტყვას ამბობს ვ. **ჯუღელი**: ამხანაგებო, ახალი მთავარი შტაბის სახელით მადლობას გიძღვნით არჩევისათვის და იმ ნდობისათვის, რომელიც ჩვენ გამოგვიცხადეთ, ვლევით მე, რომ მთელი ჩვენის ძალღონით ვეცდებით, რომ გავამართლოთ თქვენი ნდობა და პირნათლად გაუძღვეთ თქვენ მიერ ჩაბარებულ დროშას. მაგრამ ამას შევძლებთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თქვენ დაგვიჭერთ მხარს თუ სახალხო გვარდიის მთავარი შტაბი დარჩა ჰაერში გამოკიდებული, იგი ვერაფერს ვერ გააკეთებს. ეს ორნაირათ შეიძლება მოხდეს ან ჩვენ დაგვშორდებით თქვენ და ან თქვენ არ დაგვიჭერთ ჩვენ მხარს. ამაშია განსაცდელი. ჩვენ ვეცდებით თქვენთან მჭიდრო შეკავშირებას, და თქვენც უნდა დაგვეხმაროთ. ხოლო თუ ერთად ვიქნებით, მაშინ ბევრი რამის გაკეთებას შევძლებთ და შემდეგ ერთმანეთს უფრო მომზადებულნი შევხვდებით, მეტი ნაკლულებისაგან გავნთავისუფლდებით. იმუშავეთ ადგილობრივ, აამუშავეთ ყველა ძალები, მაშინ გავანხორციელებთ ცხოვრებაში ლოზუნგებს, და ერთმანეთს გამარჯვებას მიულოცავთ. (ტაში).

ყრილობის დახურვის წინ **ნ. ელიავა** ამბობს: თქვენ დაასრულეთ თქვენი მუშაობა და მუშაობას ორი რამ ახასიათებდა: პირველი—ყრილობას ჰქონდა საქმიანი ხასიათი; ბევრი კითხვები გაწყვიტეთ, ბევრ რამეს უნდოდა გამორკვევა, თქვენ ეს დიწყეთ, საქმიანათ მოიმოქმედეთ.

მეორე—თქვენში ცოცხალია რევოლუციონური სული, რომელმაც აგალებინათ თოფ-იარაღი ხელში, თქვენში ძველებურათ ჰფეთქს რევოლუციონური ენტუზიაზმი, ეს კი გამარჯვების წინამორბედია, იმის ნიშანია, რომ გამარჯვება აუცილებელთა ჩვენ მხარეზე იქნება. ვისურვებ თქვენს გამარჯვებას. გაუმარჯოს სახალხო გვარდიას, გაუმარჯოს ინტერნაციონალს.

თავმჯდომარის სიტყვის შემდეგ ყრილობა იხურება.

რეზოლიუცია მთავარ შტაბის მუშაობის შესახებ.

სახალხო გვარდიის მეორე ყრილობამ მოისმინა რა მოხსენებები და აზრთა გაცვლა გამოცვლა მთავარ შტაბის მუშაობის შესახებ, აღიარებს: მთავარ შტაბს უხდებოდა მუშაობა მეტათ რთულსა და არანორმალურ პირობებში, რის გამო აუცილებელი იყო დეფექტები, მიუხედავათ ამისა, მან შესძლო პირნათლად და ღირსეულად შეესრულებინა, როგორც გვარდიის მთავარ ხელმძღვანელს, ის დიდი მოვალეობა, რომელიც გვარდიის ისტორიამ დააკისრა, რისთვისაც ყრილობა მას მადლობას უცხადებს.

ამავე დროს, რათა გვარდიის მუშაობა უფრო ნაყოფიერი იქნეს მომავალში, ყრილობას საჭიროთ მიაჩნია:

1) გვარდიაში განმტკიცებულ იქნეს მაგარი დისციპლინა და შემოღებული სასტიკი პასუხისმგებლობა, როგორც შტაბებისა, ისე უფროსებისა და გვარდიელების.

2) ოფიცრობის და საერთო სამხედრო პირების აღზრდის საქმეს განსაკუთრებითი ყურადღება მიექცეს.

3) საველე შტაბების შემოღება და მათი უფლებრივი ჩამოყალიბება.

4) სასოფლო-სამეურნეო მუშაობის გაფართოვება რაიონებშიაც.

5) კულტურული მუშაობის გაძლიერება და

6) კონტროლის გაძლიერება, როგორც მთავარ შტაბის მუშაობაში, ისე საოლქო და სარაიონო შტაბებში და აგრეთვე სამხედრო ნაწილებში, რისთვისაც მთავარ შტაბს ეძლევა წინადადება დაარსოს თავის წევრის ხელმძღვანელობით საკონტროლო განყოფილება და აგრეთვე ეთხოვოს სახელმწიფო კონტროლიორს გააძლიეროს სახელმწიფო კონტროლი გვარდიაში.

დეპეშები, რომლებიც სახალხო გვარდიის ყრილობის პრეზიდიუმმა გაუგზავნა სხვადასხვა პირებს და ორგანიზაციებს.

სამხედრო მინისტრს

სახალხო გვარდიის მეორე ყრილობა გთხოვთ გადასცეთ რესპუბლიკის ჯარს ჩვენი მხურვალე სალამი, დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენ სამშობლოსა და თავისუფლების დაცვის საქმეში მუდამ ერთად ვიქნებით და მტერს ყოველთვის შესაფერ პასუხს გავცემთ.

დამფუძნებელ კრებას.

სახალხო გვარდიის მეორე ყრილობა სალამს გიძღვნის თქვენ ერის უზენაეს ნებათა გამომხატველს და ერთხელ კიდევ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ გვარდია თქვენთან ერთად მტკიცეთ დაიცავს დემოკრატიულ სამშობლოს და რევოლიუციის მონაპოვართ.

მთავრობის თავმჯდომარეს ამხ. ნოე ჟორდანიას.

სახალხო გვარდიის მეორე ყრილობა მოგესალმებათ თქვენ და თქვენი სახით რესპუბლიკის მთავრობას, რომელიც პირნათლად ასრულებს საქართველოს რევოლუციონური დემოკრატიის მიერ დაკისრებულ მოვალეობას, და აღგითქვამს, რომ გვარდია ყოველთვის თქვენთან იქნება დემოკრატიზმის გზით სოციალიზმისათვის ბრძოლაში.

კარლ კაუცკის.

სახალხო გვარდიის მეორე ყრილობა სალამს გიძღვნის თქვენ, ინტერნაციონალის უხუცეს ბელადს, და გთხოვს გადასცეთ ინტერნაციონალს, რომ საქართველოს მუშათა კლასი, რომელიც დღეს იარაღით ხელში იცავს თავის დემოკრატიულ სამშობლოს, ასეთივე თავგანწირვით გვერდში ამოუდგება მსოფლიო პროლეტარიატს დემოკრატიული გზით სოციალიზმის განხორციელების საქმეში.

მუშათა პროფესიონალურ კავშირების ცენტრს.

სახალხო გვარდიის მეორე ყრილობა სალამს უძღვნის საქართველოს მუშათა კლასს, რომელმაც წარმოშვა თავის წრიდან სახალხო გვარდია და იმედოვნებს, რომ იგი ყოველთვის შეავსებს ბრძოლაში დაკარგულ წევრების ადგილს ახალი რაზმებით და ამ გვარად გააძლიერებს ბრძოლას მუშათა კლასის საუკეთესო მომავლის მოსაახლოვებლათ.

პროფესიონალურ კავშირებში

მუშათა ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის.

31 ოქტომბერს მუშათა სასახლეში შესდგა სეკრეტარიატის და საქართველოს პროფ. კავშირთა აღმასრულებელ კომიტეტის შეერთებული სხდომა. განსახილველი იყო საკითხი მუშათა ეკონომიურ მდგომარეობის შესახებ. მოხსენებას აკეთებს ამხ. ივ. **ჩხენკელი**. ის ამბობს: პროფესიონალურმა კავშირებმა ჩვენ მოგვმართეს მიგვეღო ზომები მათი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. კავშირების ერთმა ნაწილმა ჩვენ წარმოგვიდგინა მოთხოვნილება, ზოგიერთმა კავშირმა ამ მოთხოვნილებას ულტიმატიური ხასიათი მისცა. ტრამვაის მუშა-მოსამსახურეთა კავშირი, ქალაქის თვითმართველობის მოსამსახურენი, თამბაქოზე მომუშავეთა პროფ. კავშირი, მბეჭდავთა კავშირი და „სურსათის" კავშირი განსაზღვრულ ფორმით აყენებენ კითხვას. ერთი მათგანი მოითხოვს 10,000 მანეთს ერთდროული დახმარების სახით, 3 გირ. შაქარს, 2 გირ. პურს, მანუფაქტურას, ნავთს და შეშას. ამ კითხვაზე პასუხის გაცემა შეიძლება ორი გზით: ან უნდა მივიღოთ ჯამაგირის მომატება, ან და მთავარი ყურადღება უნდა მივაქციოთ მათთვის პირველ საჭიროების საგნების მიწოდებას. სეკრეტარიატის სხდომაზე ეს კითხვა ვერ იქნა სავსებით გადაჭრილი, ვინაიდან სეკრეტარიატის წევრთა ერთი ნაწილი სცნობდა, რომ ფულის მიცემა დამღუპველი იქნება თვით მუშებისათვის და ამიტომ მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს სურსათ სანოვაგის მიწოდებას. მეორე ნაწილი აღიარებდა, რომ მუშები ითხოვენ ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებას და ეს შეიძლება თუ მათ მიეცემათ 10,000 მანეთი ერთდროულ დახმარების სახით. ამით ისინი დროებით გაიუმჯობესებენ თავის მდგომარეობას.

ჩვენ ოთხჯერ ვცადეთ ფულის მომატება—ამბობს მომხსენებელი, ჩვენ მივდევდით ბაზრის ფასებს, რომ მათ შეძლებოდათ პირველ საჭიროების საგნები შეეძინათ, მაგრამ ჩვენ აშკარათ დავინახეთ თუ რა შედეგი მოჰყვა ბონებით ჯამაგირის მომატებას.

ჩვენთვის აშკარაა, რომ ბონის საკითხი უნდა იქნას გადაწყვეტილი ისე, რომ მისი ღირებულება ერთ დონეზე იყოს გაჩერებული. ჩვენ ვადიდებდით ჯამაგირებს, მაგრამ ბაზარი, ეკონომია რა ამას, კიდევ უფრო აძვირებდა პირველ საჭიროების საგნებს. აგვისტოს მომატებამ კიდევ გააუარესა მუშათა მდგომარეობა და სახელმწიფო კრიტიკულ მდგომარეობამდე მიიყვანა. ნაცადი გზა ჩვენ აშკარათ გვეუბნება, რომ ბონები უნდა დავიწყებულ იქნას და მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს პურს და სხვა პირველ საჭიროების საგნებს, როგორიც არის, მაგალითად, ნავთი, შეშა, ხახვი, ლობიო და სხვა. მომხსენებელი აღნიშნავს, რომ ეს კითხვა სახელმწიფოებრივი კითხვაა და მუშებმა სწორეთ ამას უნდა მიაქციონ ყურადღება და უნდა გადაიჭრას ისე, რომ ეს საზედისწორო არ იქნას სახელმწიფოსათვის. საკითხი ასე სდგას: მოვითმინოთ თუ არა ის გაჭირვებები, რომელსაც ეხლა განვიცდით, თუ უარვყოთ, ყურადღება არ მივაქციოთ ყველა იმ შედეგებს, რომელიც უსათუოდ მოჰყვება ბონების მიცემას.

ყველამ, ვინც ამ საგანზე ილაპარაკებს, ეს კითხვა უნდა დაუკავშირონ სახელმწიფოს არსებობის საკითხს. ჩვენ შეგვიძლია გავატაროთ ის, რასაც დავადგენთ, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს თუ რა შედეგი მოჰყვება ჩვენ გადაწყვეტილებას. თქვენ წინაშე სდგას საკითხი: მზათ ხართ თუ არა მომავალშიაც პასუხის მგებლობა თქვენზე იყოს, თუ გინდათ ოპოზიციაში ჩაუდგეთ თქვენ თავს.

მოგახსენებთ რა საერთო დებულებას, გთხოვდით მუშათა მდგომარეობასთან ერთად არ დაივიწყოთ ჩვენი პასუხის მგებლობაც სახელმწიფოს წინაშე. თანამომხსენებლათ გამოდის **მ. თამაზაშვილი**. ის აღიარებს, რომ ბონების მომატებამ წარსულში მუშებს ვერაფერი მისცა. მაგრამ იყო თუ არა მიღებული ზომები, რომ ბონების მომატება არ განმეორებულიყო შემდეგში. ეძლეოდათ თუ არა მუშებს სურსათ-სანოვაგე? და ჩვენ უნდა ვსთქვათ აქ, რომ სურსათ-სანოვაგის საკითხიც ისე სდგას, როგორც ბონების. სურსათი ვერ მიიღო მუშათა კლასმა. ჩვენი დემოკრატია კარგათ გრძნობს თუ რა მოჰყვება ბონების ახლად დაბეჭდვას, მაგრამ ის სხვა გამოსავალს ვერ ხედავს. ჩვენ გვეუბნებიან, რომ ბონებს მნიშვნელობა არა აქვსო, მაგრამ თუ ეს ასეა, ქალაქის თვითმართველობის სასურსათო განყოფილება რათ აძვირებს პირველ საჭიროების საგნებს? ისინი, ვინც სურსათ-სანოვაგის მიცემაზე ეყრდნობიან, განყენებულათ მსჯელობენ და არ უწევენ ანგარიშს შესაძლებელია თუ არა სურსათ სანოვაგის მიღება. ჩვენი მუშები არ მოითხოვდნენ ბონების მიცემას, მაგრამ ვინაიდან მათ აშკარათ დაინახეს, რომ პირველ საჭიროების საგნების მიღება შეუძლებელი ხდება, ისინი ძველ გზას დაადგენ. ამიტომ არის, რომ ერთი ნაწილი მუშებისა მომატებას თხოულობს, მეორე ერთდროულ დახმარებას და არის კიდევ ნაწილი, რომელიც მოითხოვს დაკმაყოფილებას და ეს უკანასკნელი ყველაზე გარკვეული მოთხოვნილებაა. ჩვენ ვიცით, რომ ჩვენი დემოკრატია, რომელსაც ყველაზე კარგათ გაეგება რესპუბლიკანურ საქართველოს ინტერესები, კრიზისს განიცდის და ჩვენ მათ უნდა დავეხმაროთ. არის ორი დებულება, რომელიც ანგარიში უნდა გაეწიოს: ერთი—მუშათა კლასმა უნდა იცოდეს ვის სთხოვოს და რას სთხოვს; და მეორე თუ რამდენ ხანს შეუძლია მას არსებულ მდგომარეობაში დარჩენა. ის არ თხოულობს ფუფუნების საგნებს, არამედ იმას, რომ შეეძლოს სიცოცხლე. ჩვენ ყოველთვის მომხრე ვიყავით სურსათ სანოვაგის მიცემაზე, მაგრამ დავრწმუნდით, რომ ეს ვერ მოწესრიგდება. ამიტომ ჩვენ ვამბობთ, რომ სურსათ სანოვაგე მოწესრიგდეს, მაგრამ ჩვენ ამას ვერ დაუცდით მოვითხოვთ, რომ მუშები ეხლავე იქნან დაკმაყოფილებული. მუშა მეპატრონეს უდგენს მოთხოვნილებას და სესხის თუ სხვა სახით ღებულობს მას, ჩვენ უნდა მოვთხოვოთ ორგანიზაციებს სურსათ სანოვაგის მოწესრიგება, მაგრამ ამასთანავე, მიუხედავათ იმისა, რომ ბონების საქმე მწვავეთა სდგას, ჩვენ უნდა მოვითხოვოთ, რომ მუშებს ერთდროულ დახმარების სახით მიეცეთ 10 ათასი მანეთი.

შრომის მინისტრის ამხანაგი **ხახუაძე** აცნობს სხდომას თუ რა მდგომარეობაშია მუშებისათვის სურსათის მიწოდების საქმე.

მთავარი ყურადღება მიქცეულ იყო კარგი ხარისხის პურის საკმარის რაოდენობის დაგროვებაზე. უნდა ითქვას, რომ პურის საკითხი არ იყო სასურველ ნიადაგზე დაყენებული. ერთ დროს ჩვენს წინ იდგა საკითხი პურის რაციონის შემცირებისა და იმიტომ, რომ გლეხები პურს არ ყიდიან; გარდა ამისა ხელს უშლიდა ცუდი ამინდები პურის სადგურზე მოტანას, ხოლო საზღვარ გარეთიდან პური ვერ მოგვქონდა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს მდგომარეობა გამოუმჯობესებულ იქნება ერთი თუ ორი კვირის განმავლობაში. ჩვენ გვგონია რომ ახლო მომავალში შესაძლებელი იქნება პურის ხარისხის გაუმჯობესება და რაციონის გადიდება, რაც შეეხება სხვა საგნებს, მაგალითად, შაქარს ჩვენ ვიცით, რომ ის განსაკუთრებით საზღვარგარეთიდან მოდიოდა. შეძლებისადაგვარათ ჩვენ მას ვყიდულობთ და ვარიგებთ, მაგრამ ამის შესაძლებლობაც არა გვაქვს. მომარაგების სამინისტრო ყოველივე ზომას ღებულობს რომ შეიძინოს შაქარი და გაადიდოს მისი რაციონი. ეს კი დამოკიდებულია ჩვენი ფინანსიურ მდგომარეობაზე. მე მგონია, რომ ეკონომიურ თათბირზე გამომუშავებული ზომები საშუალებას მოგვცემს მდგომარეობა გავაუმჯობესოთ.

არის მანუფაქტურა, მაგრამ ის უმთავრესად, პურზე გასაცვლელათ არის გადადებული. და მე ვფიქრობ, რომ ჩვენ შევძლებთ მივცეთ მუშებს მანუფაქტურა იმაზე მეტი, რაც წინეთ მიეცათ მათ, მაგრამ ეს არ იქნება ახლო მომავალში. შეშის დასამზადებლათ მიღებულია ზომები, მაგრამ უნდა ითქვას, რომ აქ ძლიერ ცუდათ არის საქმე, რომ მუშებს შეთხვდეთ საჭირო შეშა მიეცეთ, ამისათვის საჭიროა 9,000 კუბიკური საჟენი. ჩვენ გვაქვს მხოლოდ 300 კუბიკური საჟენი. ეს კი ძალიან ცოტაა, ვინაიდან მარტო ტფილისის მუშა მოსამსახურეებისათვის 2000 კუბიკური საჟენია საჭირო, რომ თითოს ერთი მერვედი მიეცეს. ზომები უკვე მიღებულია და მე დარწმუნებული ვარ, რომ შესაძლებელი იქნება ერთი მერვედის დარიგება, მაგრამ აქ საჭიროა მუშების დახმარება. მიღებულია აგრეთვე ზომები შეშის ნახშირის შესაძენათ და ისიც მიეცემათ მუშებს.

ნავთი ჩვენ შეძენილი გვქონდა ერთი წლის წინეთ და იმას ურიგებთ ეხლა მცხოვრებლებს. ეხლაც გვაქვს ნაწილი ამ შეძენილი ნავთისა. თქვენ იცით, რომ მისი შეძენა მხოლოდ ბაქოდან შეგვიძლია, ასე რომ აქ სამინისტროს ენერგიასა და მეყაითობას არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. რაც შეეხება ქარტოფილს, ხახვს და სხვა ასეთ საგნებს, ჩვენ ვყიდულობთ მას სოფლებში, მაგრამ სადგურზე მათი მოტანა ძალიან გასაჭირია, მათ შესაძენათ გადადებულია განსაზღვრული თანხა და იმედია, რომ ისინი დაურიგდებიან მუშებს, მე ვფიქრობ, რომ სურსათ სანოვაგის საქმე არც ისე მწვავეთ სდგას, როგორც ამას ამხ. თამაზაშვილი გვიხატავს.

დობორჯგინიძე ამბობს: ზოგიერთი ამხანაგები გვერდს უვლიან იმ გზას, რომელსაც დღემდე ვადექით. ჩვენ ვერ დავადგებით იმ გზას, რომელიც მხოლოდ დღეს დაგვაკმაყოფილებს და მომავლისათვის კი საზარალო იქნება. ჩვენ ვიცით, რომ მუშათა ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესობა დამოკიდებულია სახელმწიფოს ეკონომიურ მდგომარეობაზე და ჩვენ მუშათა მდგომარეობას ვერ გამოვყოფთ სახელმწიფოს მდგომარეობისაგან. ამას ჩვენ ვერ ვიზამთ ჩვენში, ისეთ სახელმწიფოში, სადაც გადამწყვეტს როლს თამაშობენ მუშები, რომლებიც სათავეში უდგანან სახელმწიფოს მართვა-გამგეობას. თუ მხარის ეკონომიური პოლიტიკა არ ვარგა, მაშინ არ ვარგა თვით მუშათა ეკონომიური პოლიტიკა. უნდა გაუმჯობესდეს ჩვენი ეკონომიური მდგომარეობა; მაგრამ ჩვენ არ უნდა ვიქნეთ, გარდა დღევანდელ დღეზე, მზრუნველნი. უნდა გავიხედოთ ცოტა შორსაც. მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ ის აუცილებელ საჭიროთ სცნობს ვაჭრობა-მრეწველობის გაჩაღებას და შრომის განაყოფიერებას. ის აუცილებლათ სცნობს, როგორც ერთდროულ დახმარებას, ისე სესხს და მოითხოვს სურსათ-სანოვაგის დარიგების მოწესრიგებას.

ჩხარტიშვილი აუცილებელ საჭიროდ სცნობს მუშებს მიეცეთ ერთდროული დახმარება, ვინაიდან სურსათ-სანოვაგის მიცემა ისე ჩქარა ვერ მოხერხდება, რომ შეიძლებოდეს მუშების დაკმაყოფილება. ამასთანავე ერთად მას აუცილებლათ მიაჩნია სურსათ-სანოვაგის მოწესრიგება.

თოფაძე მიუთითებს სხდომას, რომ მუშებს არა აქვთ ფული იაფ ფასებშიაც კი იყიდონ საგნები. მისი აზრით უნდა დაჩქარდეს იძულებითი სესხის შეგროვება და აქედან მუშებს დაურიგდეს 10,000 მანეთი. გადაეცეს ეს თანხა კოოპერატივებს და სხვა ეკონომიურ ორგანიზაციებს, რომლებიც შეიძენენ სურსათ-სანოვაგეს და მუშებს დაურიგებენ.

ფანცხავა აღნიშნავს, რომ თვით მეპატრონენი აუცილებლათ სცნობენ ერთდროულ დახმარების მიცემას. მისი აზრით მუშებს უნდა მიეცეთ ერთდროული 10,000 მანეთი; გადიდებულ იქნას პურის რაციონი $1^1/_2$ გირვანქამდე. მიღებულ იქნას ზომები, რომ მუშებს 1 დეკემბრამდე მიეცეთ ქართოფილი, ხახვი და სხვა ასეთი საგნები.

ა. ხახუაძე. შრომის სამინისტროს ერთად ერთი მიზანია მუშ.თა ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესობა. ამაზე ფიქრობს შრომის სამინისტრო მუდამ და ამაზე მუშაობს. მაგრამ აქ საკმარისი არ არის მარტო სურვილი, არამედ საჭიროა სხვა რამე. გამოაინგარიშებულია, რომ მუშები ღებულობენ ერთი მეექვსედს იმისას, რასაც 1914 წელს ღებულობდენ. თუ თქვენ გინდათ მუშათა მდგომარეობას გაუმჯობესება, უნდა გამოძებნოთ სულ სხვა გზა და არა ის, რაზედაც თამაზაშვილი მიგვითითებს. ბონებს აქვს მნიშვნელობა, მაგრამ იმ ზომებით, რომელსაც თქვენ გინდათ დაადგეთ, ბონები სრულიად დაკარგავენ თავის მნიშვნელობას. ამ ზომებით კიდევ უფრო გაუარესდება მუშათა მდგომარეობა და რომ ეს არ მოხდეს ჩვენ უნდა მივიღოთ ის დებულება, რომელზედაც მიგვითითებს დობორჯგინიძე. ჩვენ ვიცით, რომ მანუფაქტურა და სხვა საგნები ჩვენ საზღვარ-გარეთიდან უნდა მივიღოთ, მაგრამ ჩვენ ის ვერაფერს მივიღებთ თუ მაგიერს არ მივცემთ. დღეს არც ერთ სფეროში არ არის ნაყოფიერი მუშაობა და ჩვენ უნდა ვუთხრათ მუშებს: შექმენით და ისარგებლეთ. ყველა უნდა შეკავშირდეს შესაქმნელად და უნდა ვიბრძოლოთ ისეთ ზომებს, რომელსაც ზოგიერთები მიუთითებენ: ამიტომ მე ვფიქრობ, ჩვენ უნდა გადავისროლოთ ლოზუნგი: „უნდა ვიშრომოთ" და ცხოვრებაში გავატაროთ ეკონომიური თათბირის მიერ მიღებული ზომები.

შ. აბდუშელიშვილი დამღუპველად სცნობს იმ ზომებს, რომელზედაც უთითებს თამაზაშვილი. ის აღნიშნავს, რომ მუშები მოითხოვენ სურსათ-სანოვაგეს და არა ფულს და ჩვენც ამას უნდა ვეცადოთ. თამაზაშვილისა და მისი თანამოაზრეების მოთხოვნილება, მისი აზრით გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ მომარაგების სამინისტრომ ვერ შესძლო დაემსახურებია მათი ნდობა. ისინი არ უჯერებენ მას, რომ მომავალშიაც კი მან შესძლოს სურსათისა და საერთოდ პირველ საჭიროების საგნების მიწოდება. მომარაგების სამინისტროს უნდა მიეცა გლეხებისათვის პურისათვის ის ფასი, რასაც მას მოსთხოვდნენ და ამ რიგათ ის შესძლებდა თვით შეესყიდა სანოვაგე და სპეკულიანტები აელაგმა. მას წინადადება შეაქვს ულტიმატიურად დაისვას პირველ საჭიროების საგნების დარიგება. 10 დღის ვადა მიეცეს მომარაგების სამინისტროს, რომ მუშებს დაურიგოს $1^1/_2$ გირ. პური სულზე, შეშა, გახსნას სასურსათო დუქნები, საიდანაც მუშებს მიეცემათ სურსათ-სანოვაგე. კოოპერატივებისა და სხვა ორგანიზაციებს მიეცეს დახმარება ფულით, რომ მათ სოფლებში შეიძინონ სურსათ-სანოვაგე. თუ [illegible] მუშებს არ მიეცათ $1^1/_2$ გირ. პური და შეშა, მაშინ ხელმეორედ დაისვას ეს საკითხი.

ხანგრძლივი კამათის შემდეგ მიღებული იქნა შემდეგი რეზოლიუცია: პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს სეკრეტარიატისა და საქართველოს პროფ. კავშირთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის შეერთებულ სხდომამ დაადგინა: არსებულ ეკონომიურ პირობებში ჯამაგირების მომატება ბონების საშუალებით ცნობილ იქნას მიზანშეუწონლად. მთავარი ყურადღება მიქცეულ იქნეს მუშათა უზრუნველყოფას პირველ საჭიროების საგნებით. ამ მიზნით წინადადება მიეცეს შრომისა და მომარაგების სამინისტროებს: გაადიდონ პურის რაციონი $1^1/_2$ გირვანქამდე, დაუყონებლივ შეუდგენ სხვა პირველ საჭიროების საგნების დარიგებას, მიეცეს სესხი მუშათა კოოპერატივებს, სოფლებში სურსათის შესასყიდათ. თუ ათ დღეში ზემოთ ნახსენები ზომები სისრულეში არ იქნება მოყვანილი, ხელმეორედ დაისვას ეს საკითხი ამავე თათბირის წინაშე. ამ ზომების ცხოვრებაში გატარების მიზნით, აირჩეს 3 კაცისაგან შემდგარი კომისია და დაევალოს მას ხსენებულ ზომების ცხოვრებაში გატარება. კომისიაში არჩეულ იქნენ: შ. აბდუშელიშვილი, ჩხენკელი და ბერეჟიანი.

პარტიული მუშაობა სოფლად

I.

პროპაგანდა.

დღეს ჩვენი რესპუბლიკა ამაყობს თავისი პოლიტიკური ფორმის უმაღლესათ დემოკრატიულობით, მაგრამ სამწუხაროთ ვერ იამაყებს სოფლის დემოკრატიის არა თუ უმაღლესად, არამედ საშუალო განვითარებითაც. ვინც სოფლად დაიარება, ის მაშინვე შეამჩნევს, რომ ჩვენი ქვეყნის დემოკრატიული ფორმა წყობილებისა ბევრათ მაღლაა დემოკრატიის პოლიტიკურ შეგნებაზე. მეტადრე ეს სჩანს სოფლის დემოკრატიაში. ჩვენა გვყავს პროლეტარიატი თუმცა მცირე, მაგრამ კლასობრივათ და პოლიტიკურათ კარგათ შეგნებული და ამავე დროს მის გვერდით დიდი უმეტესობა სოფლის დემოკრატიისა სრულებით პოლიტიკურათ გაუწრთვნელი და მოკლებული აქტივობას პოლიტიკურ უფლებათა გაგებისა და მისი მოხმარების საქმეში.

ამით აიხსნება ის გარემოება, რომ მიუხედავათ საუცხოვო მართველობის სისტემისა, ყირამალაა გადატრუნებული პროვინციაში ყოველნაირი საზოგადოებრივი თუ სახელმწიფოებრივი მუშაობა. სოფლის დემოკრატიას არ ესმის იმ უფლებათა მოხმარება, რომელიც მიანიჭეს მას. დემოკრატიის ანციატივა სოფლად, რაც ასე საჭიროა სოციალისტურათ საზოგადოების გარდაქმნისათვის, არა სჩანს. და ეს კი იმითაა გამოწვეული, როგორც ზევით ვსთქვი, რომ ის დღემდე არ გადაქცეულა პოლიტიკურ დემოკრატიათ. ეს ერთი მხარე. მეორე მხრე, რომელსაც უნდა მიექცეს ყურადღება, არის სოციალიზმის პოპულიარიზაცია პროვინციის მშრომელ ხალხში. სოც.-დემოკრატიამ უნდა გაუნათოს სოფელს ხვეული გზების ყველა ის ბნელი კუნჭულები ეკონომიური ჩამორჩენილობის მოსპობით, საქართველოს მშრომელ დემოკრატიას, სანამდის ის განახორციელებდეს სრულიად სოციალისტურათ მოწყობას.

სოფლის მოწინავე ელემენტი ჩვენს პარტიას უსაზღვრო სიყვარულით ეპყრობა. ის ჩვენთან მუშაობის რიგში უნდა ჩავაყენოთ და ამისათვის ჩვენი პარტიის გარშემო ორგანიზაციულათ შევაკავშიროთ.

მთელს საქართველოს რესპუბლიკაში არ უნდა დარჩეს არც ერთი მაზრა და თემები, სადაც არ იქნება მოწყობილი სოც.-დემ. ორგანიზაცია და ამ ორგანიზაციებში უნდა გაჩაღდეს უძლიერესი პროპაგანდა სოც. დემოკრატიული.

მიტინგური მუშაობის დრო ახლა სრულებით არაა; პირიქით პარტიული ორგანიზაციების მოწყობა ყველგან: ყველა დიდ სოფლებში, თემებში, მაზრაში, ერთი აუცილებელი მოთხოვნილებათაგანია დღეს. მხოლოდ ესეთი ორგანიზაციების დაარსებას და მის გარშემო მუშაობას შეუძლია სოფლის დემოკრატიის პოლიტიკური მომზადება და ამა თუ იმ საზოგადოებრივ საქმეში დარაზმული აქტიურათ გამოყვანა.

თავისი შრომის მეტი ნაწილი რომ დაეხარჯათ ჩვენს პროპაგანდისტებს პარტიული ორგანიზაციების მოწყობაზე და მის გარშემო მუშაობაზე და ნაკლები მიტინგობაზე, წესიერება ბევრათ ადვილათ დამყარდებოდა ჩვენს რესპუბლიკაში. ამისი ცოცხალი მაგალითია გორის მაზრა დღეს. ეს მაზრა აჯანყების ბუდეთ ითვლებოდა, არა მარტო მთის ოსებით, არამედ ბარის ქართველებით. დღეს აქ უდიდესი გარდატეხა მოხდა ხალხის ფსიხოლოგიაში ჩვენ სასარგებლოთ. ამ გარდატეხას ხელი შეუწყო ყველა თემებში და დიდ სოფლებში დემოკრატიულმა ორგანიზ. გამაგრებამ ბარს, იმის შემდეგ, რაც დაარსდენ ორგანიზაციები ყველა თემებში, აჯანყებაში მონაწილეობა არ მიუღია. უმთავრესათ იქ ხდებოდა გამოსვლები, სადაც ასეთები არ იყო.

ცხადია ყოველი მარქსისტი შორს უნდა იყოს იმ ყალბი აზრიდან, რომ ვითომ სოციალიზმის დამყარების მეთაურათ გამოვა ჩამორჩენილი პროვინცია; მაგრამ ჩვენ ეს დებულება სრულებით არ გვაძლევს უფლებას არ შევეცადოთ სოფლის მშრომელ მასსაში პოლიტიკურ აქტივობის შეტანას; ეს კი შეიძლება მხოლოთ პარტიული მუშაობის სოფლად პირველ რიგში დაყენებით.

საჭიროთ მიმაჩნია აქ აღვნიშნო კიდევ ერთი რამ: საშიში სახე მიიღო იმ გარემოებამ, რომ ის პარტიული ამხანაგები, რომლებიც პარტიამ წარგზავნა ამა თუ იმ მოვალეობის შესასრულებლათ ერობებში, თემებში და სხვაგან, სრულებით აღარ არიან დაინტერესებული პარტიული მუშაობით; მაივიწყეს ის, მათმა გულგრილობამ პარტიული ზრდის საერთო კრიზისი გამოიწვია.

ჩემი ღრმა რწმენით, თუ არ მოისპო პარტიიდან სხვადასხვა თავის მართლებით სისტემატიური „დეზერტირობა", საფრთხე მოგველის.

II ორგანიზაცია.

ვინაიდან ძველი „სპარსტავო" და საზოგადოებები მოისპო, როგორც ადმინისტრატიული ერთეულები და ეხლა კი შემოვიღეთ თემური წყობილება, ჩვენი პარტიული მუშაობაც მასთან შეგუებულათ უნდა სწარმოებდეს. გარდა ამისა ჩვენ ვიცით, რომ მომავალი [illegible] მუშაობა, ბრძოლა პოლიტიკური და ეკონომიური იწარმოებს უმთავრესათ სამაზრო ერობების და თემების გარშემო, ამიტომ ჩვენი პარტიის უმთავრესი საბუძარი ამ ბრძოლის ღერძებთან იქნება.

ამის მიხედვით არის მოწყობილი ორგანიზაცია მაგალითად გორის მაზრაში.

თითეული თემი დაყოფილია **პარტიულ უბნებათ.** თითეულ ამ უბანში არსდებ ორგანიზაცია—**ქვე-კოლექტივით.** ერთი-მეორესთან 3—4 ვერსით დაშორებული სოფლების ჯგუფი წარმოადგენს **უბანს.** უბნის ცენტრით, სადაც ქვე-კოლექტივის უმთავრესი ბინა იქნება, ითვლება ერთ ერთი ამ ჯგუფის ფარგალში მოქცეული დიდი სოფელი, რომელიც კულტურული ძალებით მცხოვრებთა რიცხვით და გეოგრაფიული მდებარეობით მიხერხებული და უკეთესია დანარჩენ ამ საუბნო ჯგუფში შემოსულ სოფლებზე.

თემის საუბნო ორგანიზაციების ქვეკოლექტივები ერთდებიან წარმომადგენლებით ერთ ცენტრში და აარსებენ სათემო ცენტრალურ **კოლექტივს.** თემის ცენტრალური კოლექტივები კი ერთდებიან წარმომადგენლებით თავის მხრით და აარსებენ სამაზრო საერობო **კომიტეტს.**

სამაზრო კომიტეტი ხელმძღვანელობს თემის კოლექტივებს,, ეს უკანასკნელნი-კი ხელმძღვანელობენ თემში არსებულ უბნის ქვე-კოლექტივებს. ამისდამიხედვით უბნის ქვე კოლექტივი ემორჩილება თემის კოლექტივს და თემებში არსებული ორგანიზაციები კი ემორჩილებიან სამაზრო კომიტეტს და ბოლოს ყველა ესენი ემორჩილებიან საქ. ს. დ. მ. პ. ცენტრალურ კომიტეტს, როგორც სწერია ჩვენს პარტიულ წესდებაში.

თემის ცენტრ-კოლექტივის მოვალეობაა დაახლოვებით შემდეგი: 1) თემში პარტიული ბეჭედი აქვს მხოლოდ მას, რითაც მხოლოდ მას უნდა შეეძლოს საჭირო საწევრო ბარათების, მანდატების და პარტიული დოკუმენტის გაცემა (აქამდე კი თითო სოფლის პაწია ორგანიზაციები სარგებლობდენ ბეჭდებით და არა სასურველათ ხმარობდნენ, ეს არ უნდა იყოს). 2) აწარმოებდეს რეგისტრაციას თემის ფარგალში. 3) თანდათანობით, სადაც არ არის, მოაწყოს საუბნო ორგანიზაციები უბანში და იაჩეიკები სოფელში. 4) დაიკავშიროს ქვე-კოლექტივები წარმომადგენლების საშუალებით. 5) დრო და დრო მოაწყოს პარტიის წევრთა საერთო კრებები თემის ფარგლებში წელიწადში ორჯერ მაინც. 6) მოაწყოს მიტინგები. 7) გამოიწვიოს საჭირო დროს პროპაგანდისტ-აგიტატორები. 8) სისტემატიურათ თვეში ორჯერ მაინც იწვევდეს თემის კოლექტივის წევრთა კრებებს. 9) ცდილობდეს წიგნაკ ბროშურების გავრცელებას. 10) მოაწყოს პარტიული გაზეთების გაწერვა თემის ყველა საუბნო ორგანიზაციისათვის. 11) ჰყავდეს თავის წარმომადგენელი სამაზრო კომიტეტში. 12) მიიღოს თითონ და მიაღებინოს თემის ყველა უბნის ორგანიზაციებს მხურვალე მონაწილეობა ყოველნაირ საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ ხასიათის არჩევნებში, ერობის, პარლამენტის, თემის, კოოპერატივების, სახალხო გვარდიის შტაბის წევრების და სხვა, ეცადოს ყველგან ჩვენი პარტიის გავლენის დაცვას. 13) თვალყურს ადევნებდეს თემში ყოველნაირ პოლიტიკურ და ეკონომიურ მოძრაობას. 14) შეძლების დაგვარათ აწყობდეს პარტიული და პოლიტიკურ ხასიათის ჯგუფურ და სახალხო საუბრებს და სხვა.

ქვე-კოლექტივების მოვალეობაა: 1) გაუძღვეს თავის უბნის ორგანიზაციას. 2) მიიღოს ახალი წევრები და დასამტკიცებლათ წარუდგინოს სათემო კოლექტივს. 3) საერთო ხასიათის ყოველნაირ საქმეში დაეხმაროს სათემო კოლექტივს მთელი თავის ძალებით. 4) იყოლიოს მუდმივი წარმომადგენელი თემის კოლექტივში. 5) უბნის ორგანიზაცია დაყოს საათისთავოებათ და აურჩიოს ათისთავები. 5) დაურიგოს სათემო კოლექტივის მიერ დამზადებული საწევრო ბარათები. 6) თავის უბანში აწყობდეს კრებებს, სახალხო მიტინგს 7) მოაწესრიგოს პარტიული გადასახადების უკეთ მოკრეფის საქმე. 8) გაიწეროს გაზეთები და მოაწყოს მათი კითხვა მკითხველ-მსმენელთა წრეების მოწყობით და სხ. ყველა საერთო ხასიათის საქმეებს საუბნო ქვე-კოლექტივები აწარმოებენ სათემო კოლექტივის ხელმძღვანელობის ქვეშ.

აი ჩემის ფიქრით, როგორ უნდა მოეწყოს და ამუშავდეს ყველა მაზრებში და თემებში ჩვენი პარტიული ორგანიზაციები. თუ იქნება სისტემა და წყობა იდეიურ-ორგანიზაციული მუშაობისა, თუ ჩვენ მოვახერხეთ სოფლებში იაჩეიკების დაარსება, შემდეგ ამათი უბნებათ შეჯგუფება ქვე-კოლექტივებათ და ბოლოს ამ უკანასკნელთა ერთმანეთთან დაკავშირებით შევქმნით ყველა თემებში სათემო ცენტრ-კოლექტივებს და ბოლოს აქედგან სამაზრო კომიტეტებს, თუ ამათში მერე ვიმუშავებთ დაახლოვებით ისე, როგორც ზემოთ მოვიხსენიე, ანარქია სამუდამოთ დასამარდება, დემოკრატია განვითარდება და პროლეტარიატს სოციალიზმისათვის ბრძოლა გაუადვილდება.

მოხეტიალე რაჭველი.

ს.-დ. პარტიაში

სოხუმი. საქართველოს ს. დ. მ. პ. სოხუმის ოლქის კომიტეტის უკანასკნელ სხდომაზე არჩეულ იქნა კომიტეტის პრეზიდიუმი, რომელშიაც შედიან: კომიტეტის თავმჯდომარე ი. ფაშალიძე, თავმჯდომარის ამხანაგათ მ. უბირია და ი. ჯანჯღავა, მდივნათ გ. შანშიევი. კომიტეტმა დაავალა ახლად არჩეულ პრეზიდიუმს შეიმუშაოს ოლქში მუშაობის დაწვრილებითი გეგმა და წარმოუდგინოს კომიტეტს განსახილველად შემდეგ სხდომაზე.

ამავე სხდომაზე არჩეულ იქნა საოლქო და ქალაქის კომიტეტების გაზეთის „ნაშე სლოვო"-ს სარედაქციო კოლეგია შემდეგ შემადგენლობით: მ. წულუკიძე, მ. ამჩისლავსკი და გ. შანშიევი.

მუშათა შორის

ქუთაისის პროფ. კავშირთა საბჭოში. მიმდინარე წლის 26 ოქტომბერს გ. ტუსკიას თავმჯდომარეობით შესდგა ქუთაისის პროფ. კავ. საბჭოს სხდომა.

დღის წესრიგში იყო შემდეგი კითხვები: 1) მუშათა მაგიდა, 2) თფილისში პროფესიონალურ და კოოპერატიულ კურსებზე მსმენელების გაგზავნა და 3) ქუთ. მომხმარებელ საზ. „კოოპერაციის" გამგეობის განცხადება.

მუშათა მაგიდის სახელით მოხსენებას აკეთებს აკ. ხვიჩია. მომხსენებელმა ვრცლათ გააცნო დამსწრეთ ის პირობები, რომელშიაც უხდებოდა მაგიდას მუშაობა. მან აღნიშნა, რომ მას თავისი თანამშრომლობით ძლიერ დახმარებას უწევდა ქუთ. მომხ. საზ. „კოოპერაცია" და ქუთ. სამ. ერობაც. მუშათა მაგიდას ხელს უშლიდა ერობათა კავშირი, რომელმაც მას არ დაუთმო საჭირო ნივთები, რის გამო პური ანტიჰიგიენური პირობებში ცხვებოდა. ქუთ. ქალაქის გამგეობამ ვერ მოახერხა მაგიდისთვის გადაეცა ის ბინა, რომელზედაც მაგიდამ მიუთითა და ამ ბინის გადმოუცემლობით ბურება ზარალი აქვს მას.

მომხსენებელმა აგრეთვე აღნიშნა ის გულგრილობა მუშებისაგან, რომლებიც იჩენენ ზოგიერთი მუშები მაგიდის მიმართ. მაგ. ჯერ ხორბლის გაწმენდის დროზე ყოველ დღე გვიმატებდენ ფასსო. გაწმენდილი ხორბალი მიგვაქვს წისქვილში და რადგან ნიხრზე ვაძლევთ მეწისქვილეთ (რომლებიც კერძო პირებია) სასყიდელს, ცდილობენ ჩქარა დაფქვან, და ბლომით უშვებენ ხორბალს, რის გამო ქატო მიდის არა ნაკლები 20 პროცენტისა, როდესაც შეიძლება დაყვანილი იქნას 7%-მდი. მეწისქვილეთ თავიანთ ასეთ მოქმედებაში ხელს უწყობენ ის მუშებიც, რომლებიც მათ ყავთ დაქირავებული. აგრეთვე ძალიან ცუდათ მოგვექცენ ის მუშები, რომლებიც სადგურზე შეშის გადაზიდვათ არიან. ამ დღეებში მაგიდამ მიიღო შეშა, და ურიგდებოდით ამ მეურმეებს, რომ ვაგონიდან გადმოეზიდათ მახლობლად მდებარე საწყობში. მეურმეებმა ვაგონი შეშის გადმოზიდვაში გვთხოვეს სამიათასი მან. როდესაც მათ აუხსენით, რომ შეშა მუშებისაა და ნაკლებათ გადმოზიდოთქო, კაპეიკიც არ დაგვიკლეს, მხოლოდ როდესაც ლიანდაგი დავაგეთ და ორთქლმავლით მოვაწყვეთ გადაზიდვა (რომლის მოწყობაში ძლიერ დაგვეხმარა ქუთ. სამ. ერობა). მაშინ მეურმეებმა დაგვიწყეს ხვეწნა, რომ 1500 გადაიტანდენ. რომ სამი-ათასი მიგვეცა მათთვის, მარტო გადმოზიდვა დაგვიჯდებოდა შვიდასი-ათასი მანეთი.

დასასრულ მომხსენებელმა სთხოვა საბჭოს, როგორც ადგილობრივათ მუშათა კლასის უმაღლესი ორგანოს დახმარება აღმოეჩინა მაგიდისათვის.

ამ მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი, რის შემდეგ მიღებულ იქნა შემდეგი დადგენილება: ქუთ. მუშ. პროფ. კავ. ცენ. საბჭომ მოისმინა რა მოხსენება ქუთ. მუშ. მაგიდას შესახებ, დაადგინა: „დაევალოს ყველა საზოგადო და კერძო დაწესებულებებს, მუშ. პროფ. კავშირებს და ყველა მათ, ვისაც რაიმე დამოკიდებულება აქვს ან ექნება მუშათ. მაგიდასთან, ხელი შეუწყოს მის ნაყოფიერ მუშაობას და ყოველ მხრივ შეეცადონ მაგიდის მუშაობა მათი ხელის შეუწყობლობით არ შეეფერხოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ყველა მათ წინააღმდეგ მიღებული იქნას გადამჭრელი და შესაფერისი ზომები—თვით მუშათა მაგიდის მიერ მიღებული უნდა იქნას ყველა მასზე დამოკიდებული ზომები, რათა სურსათ-საწვავი მუშა-მოსამსახურეებს რეგულიარულად და გაუმჯობესებულათ ურიგდებოდეს.

მუშ. მაგიდის მუშაობა ადგილობრივათ, რომ უფრო ნაყოფიერად მიმდინარეობდეს. კრება ირჩევს სასურსათო საბჭოს ხუთი კაცისაგან შემდგარს, რომელიც იმუშავებს შრომის კომისართან ერთათ და კანტროლს გაუწევს, როგორც თვით მაგიდის მუშაობას, ისე ყველა იმ ორგანიზაციებს და კერძო პირებს, რომელთანაც დამოკიდებულება აქვს მაგიდას და თუ რომელიმე მათგანის მოქმედება შეაფერხებს მაგიდის მუშაობას, უნდა სასწრაფოთ მიიღონ შესაფერი ზომები და საჭიროების დროს დაუყონებლივ აცნობონ ცენტრალურ საბჭოს.

სასურსათო საბჭო ყოველი თავის მოქმედების შესახებ მოხსენებას აკეთებს ქუთ. კავ. ცენ. საბჭოს.

სასურსათო საბჭოში არჩეულ იქნა: გ. ტუსკია, ვ. სხირტლაძე, პ. თალაკვაძე, ქ. კანდელაკი და გ. ზარქუაძე. კანდიდატებათ: იუ. ღურიშიძე და გერ. მესხიშვილი.

კრება ადგენს პროფესიონალურ და კოოპერატიულ სამთვიან კურსებზე, ქუთაისის კოოპერატივმა და პროფ. კავშირებმა გაგზავნონ ოთხი ამხანაგი: ამხ. ილ. წიქარიძე, ბენ. ბრეგაძე, ერ. ქვეჰანიძე და ვალ. დოლიძე. თუ შესაძლებელი იქნა მეხუთეს გაგზავნა მაშინ გაიგზავნოს ამხ. სერ. კვანტალიანი.

„კოოპერაცი"-ის გამგეობის სახელით მოხსენებას აკეთებს ერ. ქვეჰანიძე, რომელიც აღნიშნავს, რომ ფულის კურსი თანდათან ეცემა და პაი არ გადიდებულა ის ისევ 28 მან. და ვინაიდან ამ საპაიო ფულებით კი დღეს არაფრის შეძენა არ შეგვიძლია, ამიტომ „კოოპერაციის გამგეობამ დაადგინა: გადიდდეს საპაიო თანხა 500 მ.ნ., მაგრამ რადგან დაწყებულია მუშაობა იმ მხრით, რომ ეს კოოპერატივი გადაკეთდეს მუშათა კოოპერატივათ, ამიტომ მოგმართავთ თქვენ—თუ რამდენით გადიდდეს საპაიო გადასახადი.

კრებამ კამათის შემდეგ დაადგინა: საპაიო გადასახადი გადიდებულ იქნას 500 მანეთით, რომელიც ნაწილობრივათ გადახდეს წევრთ. კრება სურვილს გამოსთქვამს, კოოპერატივის გამგეობამ შეეცადოს შესაძლებლობის ფარგლებში მოაწყოს საწარმოო დარგი. აგრეთვე მიმართავს ამხ. მუშებს, რომ ისინი ჩაეწერონ „კოოპერაცია"-ში წევრებათ.

ი. ნატაშვილი.

პროვინცია

საყულიის თემი. (ქუთ. მაზრა) ზედა საყულიაში საუცხოო ადგილში დაარსდა ბაზარი, სადაც უნდა აშენდეს თემის სამმართველოც, რადგანაც ბაზი ამ თემს გამოყო, ოფშქვითის და საყულიის შუაგულა კი ეს ადგილია. ძველი სამმართველოს ბინა კი დარჩება სატქიმო პუნქტში; ეს პუნქტი სამი თემისთვის არსებობს. თემის გამგეობა აქედანვე უნდა შეუდგეს სამმართველოს და უმაღლეს პირველდაწყებითი სასწავლებლის შენობის საქმის მოგვარებას, რომლის დაარსება დიდი ხანია გადაწყვეტილია, მაგრამ ბინის უქონლობის გამო არ იხსნება. გამგეობამ შარშან გადაწყვიტა ოფშქვითში საუცხოო ადგილზე აგურხანის მოწყობა; სამაზრო ერობამ ამ მიზნისათვის მას მისცა ნაწილი თანხისა, დანარჩენ ერთ მილიონამდი თემი იხდის მატორი შეძენილია და მოკლე ხანში მუშაობაც დაიწყება. მართლაც ასეთი ქარხნის დაარსება ამ რაიონს დიდს სარგებლობას მოუტანს, მაგრამ ადგილობრივი ძალებით თემი ამ საქმეს ვერ გაუძღვება, მოწვეულ სპეციალისტებს კი დიდი ფული დასჭირდებათ, ამის გამო გამგეობა სიფრთხილით უნდა მოიქცეს, რომ დაწყებული საქმე არ დააბრკოლოს და ხალხს გული არ აუცრუოს ასეთი წესით დაწყებულ საქმეებზე. თემის სამმართველოს და უმაღლეს სასწავლებლის შენობის აგება და აგურხანის მოვლა-პატრონობა—აი უპირველესი საქმე გამგეობის და ამას გარდა თუ გზების კეთებასაც მიაქცევენ ყურადღებას.

ხ. ხხივიშვილი.

ბათომი. ყოველ დღე ახალ პროვოკაციულ ხმებს ავრცელებენ. ჯერ იყო და გაავრცელეს ხმები, რომ ამ თვის 27-ში ბათომს ჩაიბარებენ ინგლისელებიო.

გავიდა 27 არ გამართლდა პროვოკატორების იმედი. მაშინ ჩამოყარეს ყურები და ხელი მიყვეს სხვა ახალ პროვოკაციას.

ამ რიგათ მუშაობენ ჩვენი მტრები. მათ ვერ მოუნელებიათ საქართველოს თავისუფლება. ცდილობენ დააჯერონ ხალხი იმაში, რომ სხვა, რომ იყოს—სამოთხე იქნებაო. გარდა ამ პროვოკატორებისა, გამოჩნდენ უფრო საშიში პროვოკატორები: ესენი არიან ქემალისტების და ბოლშევიკების აგენტები, რომლებიც დადიან მუსულმან ქართველებში და ჩვენი რესპუბლიკის წინააღმდეგ ეწევიან აგიტაციას, როგორც სიტყვიერათ, ისე ბეჭვდითი სიტყვითაც, 28 ამ თვეს ქალაქის ზოგი ერთა კუთხების სხვა და სხვა ნაწილებში გააკრეს ფურცლები, რომლითაც მოუწოდებდნენ ქართველ მაჰმადიანებს: თქვენ ნუ გეშინიათ, მალე გაგანთავისუფლებთ ქართველების მფარველობიდან, რომლებიც გიხურავენ სკოლებს და უნდათ თქვენი გაქრისტიანებაო. შორს არ არის ის დღე, როცა მათ ბატონობას მოეღება ბოლოო.

ამ რიგათ არ ისვენებენ ეს ვაჟბატონი პროვოკატორები და ათასი ცილისწამებით უნდათ დააჯერონ ხალხი, რომ საქართველოს მთავრობა მათ უდიერათ ეპყრობა და სკოლებს უხურავს და ცდილობს მათ გაქრისტიანებას.

მშრომელი ხალხი იმედია არ აყვება ამ ვაჟბატონთა სისინს. ხალხი ხედავს და მიხვედრილია ამ პროვოკატორთა ბნელ ზრახვებს. ყველა ნათლად ხედავს, რომ არამც თუ სკოლები იხურება, პირიქით ახალ ახალი სასწავლებლები იხსნება მივარდნილ მივიწყებულ კუთხეებშიაც კი. სიცრუეა რასაკვირველია პროვოკატორების მტკიცება, თითქოს საქართველოს მთავრობა ცდილობდეს მაჰმადიანთა გაქრისტიანებას. მაგრამ პროვოკატორები რის პროვოკატორები იქნებიან სიმართლე, რომ ილაპარაკონ. საჭიროა ასეთ მავნე დამღუპველ ელემენტების წინააღმდეგ სასტიკი ზომები იქნას მიღებული.

ედიპი.

სართიჭალა (გარე კახეთი). ეს სოფელი მდიდარობს ვაკე დაცემულ ნიადაგზე, აქ არსებობს პირველ დაწყებითი სასწავლებელი, თემი ფოსტა-ტელეგრაფი და ტყის საზოგადო დაწესებულება, და სხვა!

სოფელი სართიჭალა დღემდის თუ მოკლებული იყო კულტურა-განათლების დღეს უკვე მიხვდა სოფლის გლეხობა კულტურულ საქმის მნიშვნელობას. ამ მოკლე ხანში მოეწყო მომღერალთა ხორო, გაიხსნა საღამოს კურსები მოზრდილთათვის. წინათაც მოწადინებულნი იყვნენ, რომ ესწავლათ მათ შვილებს, მაგრამ არ იყვნენ ისეთი მასწავლებლები, რომელთაც გამოეჩინათ საქმისადმი სიყვარული. მაგალითად 1918, 1919 წელს ასწავლიდა მასწავლებელი გვარამაძის ასული, დღის 10 საათზედ და 11 საათ. მიბრძანდებოდა სასწავლებელში და იქ რჩებოდა 2 საათამდე.

დღეიდან მასწავლებელი გვარამაძის ასული გამორიცხულია სამსახურიდან, და მის ადგილას დაინიშნა მასწავლებლად გაბო დურიძე, რომელიც მუყაითად შეუდგა მუშაობას.

პატარა გლეხი.

წერილები რედ. მიმართ

(პასუხათ ბ-ნ ნესტორ ვადაჭკორიას.

ამხ. რედაქტორო! გთხოვთ თქვენი გაზეთის უახლოეს ნომერში დაუთმოთ ადგილი შემდეგს: „ერთობის" 239 №-ში მოთავსებული იყო წერილი კახეთის რკინის გზის სასურსათო კომიტეტის წევრის ბ-ნ ნესტორ ვადაჭკორიასი; ის სწერს, რომ ვითომ მე მეტარებინოს ბ-ნი ვადაჭკორია სამინისტროში და თავის დროზე ხორბალი არ მიმეწოდებინოს. უნდა მოვახსენო ბ-ნ ვადაჭკორიას, რომ ენკენისთვის ნორმა კახეთის რკინის გზის კომიტეტს სავსებით ჰქონდა მიღებული, რაიც შემდეგ საბუთებიდან სჩანს: 31 აგვისტოს გამოწერილია ორდერით № 3529, მიღებულია კვიტანციებით №№ 681, 689, 708, 813—2100 ფუთი ქერი და ზედმეტი კიდევ 500 ფუთი ხორბალი. მაგრამ თუ [illegible] ნორმაზე მეტი პურის მიცემას, ეს იმით იყო გამოწვეული, 1) რომ მთელი თვის საკვები უკვე მიღებული ჰქონდათ და 2) მე უცდიდი რევიზიის შემდეგს, რომელიც დანიშნა ბ. მინისტრმა კახეთის რკინის გზის სასურსათო კომიტეტის უკანონო მოქმედების შესახებ. ბ-ნი ვადაჭკორია სწერს: „ბ-ნ მელიქოვს კარგათ უნდა მოეხსენებოდეს, რომ უკმაყოფილება ყველგან ტალღასავით მოედვა, ამიტომ საჭირო იყო მეტი სიფხიზლე და უნარიანობა", „ჩემი შენ გითხარი გული მოგიკალით" რომ იტყვიან, სწორეთ ისე მოგდით თქვენ: როდესაც სხვის სიფხიზლეზე და უნარიანობაზე მიუთითებთ, ნუ დაგავიწყდებათ თქვენი ცოდვები კი არა, ბოროტმოქმედება, რომელსაც ადგილი ქონდა კახეთის რკინის გზის სასურსათო კომიტეტში, რაშიაც თქვენც მიგიძღვით ბრალი, როგორც ამ კომიტეტის წევრს. სხვათა შორის აი თქვენი უნარიანობა: „სარევიზიო კომისია მივიდა შემდეგ დასკვნამდე: 1) კახეთის რკინის გზის სასურსათო კომიტეტმა დაარღვია საერთო წესი პურის რაციონის დარიგებისა, რომელიც არსებობს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე, სახელდობრ: როგორც გამოირკვა თავმჯდომარე ბ-ნ ჯულუხის და ორ კომიტეტის წევრის სიტყვებიდან,—ის არ ეყრდნობოდა შრომის სამინისტროს მუშათა მაგიდის ნორმას და კახეთის რკინის გზის პროფესიონალური კავშირის და იმავე გზის სასურსათო კომიტეტის დადგენილებით მარტოხელებს აძლევდენ დღეში 2 გირ. პურს, ორს—3 გირ., ოთხს—4 გირ., ხუთს—5 გირ., ექვს—5 გირ., შვიდს—5 გირ. და სხვა და ყველა დღიურ მუშებს ორ ორ გირვანქას დღეში; ერთი სიტყვით იმის მაგიერ, რომ კომიტეტი დახმარებოდა უფრო გაჭირვებულ მუშა-მოსამსახურეს კახეთის რკინის გზისა, რომლებიც დატვირთულნი არიან წვრილი ცოლ-შვილით,—იმათ ულუკმა პუროთ დატოვეს ბევრი სულისაგან შემდგარი ოჯახები და მიუმატეს რაციონი ისეთ მუშა-მოსამსახურეს, რომლის ოჯახის წევრები შესდგება ერთი-ორი სულისაგან; 2) მათი დანაკლისი დაფქვის დროს ქალაქის მმართველობის ნორმაზე მეტია: 1,75 გირ. ხორბალზე, 2,75 ქერზე და პურზე; ასე მაგ. ივნისში 2100 ფ. ხორბლის დაფქვაში კახეთის რკინის გზის სასურსათო კომიტეტმა დაკარგა 185 ფუთი 17 გირ., მაშინ როდესაც იმათ უნდა დაეკარგათ 90 ფუთი და 32 გირ., გადატანის დროს. დაბნეულიც მათ ნორმაზე მეტი აქვთ. 3) თუ მივიღებთ მხედველობაში „Saldo"-ს 1 ივნისს 975 ფ. 16 გირ. ფქვილის გადატანის დროს დაბნეულსა და დაფქვის დროს დაკარგულის დაშვებით, მაშინ სასურსათო კომიტეტს ქონდა ფურნეში 1 ივნისიდან 1 სექტემბრამდე 757 ფ. 09 გირ. ფქვილი, დახარჯულია კი ბუღალტერიის ანგარიშით 6573 ფ. ე. ი. 1 სექტემბრისთვის დარჩენილი უნდა იყოს 988 ფ. არის დარჩენილი 100 ფუთამდე, ე. ი. ზედმეტათ დახარჯული სამი თვის განმავლობაში 888 ფუთი. ამ რიგათ ბუღალტერიის ანგარიში არ ეთანაბრება ფაქტიურ პურის გაშვებას, ასე მაგ. ბუღალტერიის ანგარიშით სასურსათო კომიტეტს უნდა გაეშვა ივნისში 3003 ფ. 32 გირ. ფაქტიურათ გაშვებულია 3377 ფ. 18 გირ., ე. ი. ზედმეტია გაშვებული 373 ფ. 21 გირ. ივლისში უნდა გაეშვათ 3021 ფ. 28 გირ., გაუშვეს 3456 ფ. 22 გირ., ზედმეტი 434 ფ. 38 გირ. 4) სასურსათო კომიტეტი რომ სავსებით დაყრდნობოდა მუშათა მაგიდის ნორმას, შტატის მოსამსახურეთათვის და დღიურ მუშებისათვის და დღიურ მუშებისათვის მიეცა ორ-ორი გირვანქა მომარაგების სამინისტროს მიერ გაშვებული 2100 ფუთი ფქვილი—ეყოფოდა კახეთის რკინის გზას ერთ თვეს. 5) პურის ცხვება საჭირო წესით და მოიჯარადრე ძღვება ზედმეტს ფუთზე 15 გირვანქას, როგორი ხარისხის და შემადგენლობისაც არ იყოს იგი; ზედმეტი კი რჩება მოიჯარადრეს, რომელიც ყოველდღის თავისივე ფურნეში 34—40 მან., მან.. რომელიც ეწინააღმდეგება მუშათა მაგიდის გეზს (стремленіям); გარდა ამისა არ შეგვიძლია არ მივაქციოთ ჩვენი ყურადღება მას, რომ ფურნე, რომელიც შესდგება ორი ოთახისაგან (ფეჩი), აცხობს პურს კახეთის რკინის გზისათვის და აგრეთვე მოიჯარადრესაც საშუალება ჰქონდა გამოეცხო თავისა საკუთარი პური გასაყიდათ და ამ რიგათ მას ყოველთვის ქონდა შეძლება ბოროტათ მოეხმარა სასურსათო კომიტეტის ფქვილი. 6) საერთო მოწყობილობა საქმისა კომისიის აზრით ნაკლებ დამაკმაყოფილებელია, რის მიზეზიც არის საქმის უცოდინარობა სასურსათო კომიტეტის წევრების მიერ, რასაც კომისიის წევრები თვითონ აღიარებენ.

სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე—ინჟ. გვარამაძე. სარევიზიო კომისიის წევრები: 1) ნოდია, 2) კ. დავიდოვი.

მაშ ასე მოქალაქე ვადაჭკორია, სხვის თვალში ბეწვს ამჩნევთ და თქვენსაში კი დირეც არაფრათ გიჩნთ. მსჯავრი მკითხველმა საზოგადოებამ დაგვდოს ჩვენ.

ივ. მელიქოვი.

რედაქტორი დავით ნათაძე.

განცხადებანი

უ. უფლ. გიმნაზ. დამაარს. და გამგე ი. მ. მაჩაიძე, მათემატიკას
მასწავლებელი
ამზადებს ბავშვებს და მოზრდილთა მოწმობაზე 1, 2, 3, 4, 5, 6 კლ. შესასვლელად—საშუალო და უმაღ. დაწყებითი სასწავლ. აგრეთვე ამზადებს ჩამორჩენილ მოწაფეებს მატემატიკაში ენებში და სხვა საგნებში. პლეხანოვის ქ. 25 (შესავალი ალექსის ქ. კუთხიდან). 3—1 ს. 3—5 ს. (3483—6—4)

დოქტორი
გ. გ. მეგრაბიანცი
შინაგანი ავადმყოფობა—ჭლექი და გულისა. იღებს ახალს რენტგენ-ელექტრო კაბინეტში. გამოკვლევა და წამლობა სხივებით. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფ. 7—92, მიღება ყოველ დღე 9—12 და საღამოს 6—8 საათამდე. 11 დეკ.

თვალის ექიმი
ზ. მ. ცხვედაძე
ავადმყოფების მიღება ყოველდღე 1 ს.—4 ს. იზმაილოვის ქუჩა № 11 მოსკოვის ქუჩიდან პირველი შესახვევი. (1—დეკ.)

ქირურგიული და ქალთა სნეულების
საავადმყოფო
სამშობიარო განყოფილებით ექიმის
გოკიელიასი
(პლეხანოვის პროსპ. № 141, სამხედრო სასწავლებლის პირდაპირ, ტელეფ. № 5—97) დასაწოლ ავადმყოფებს და ფეხმძიმე ქალებს იღებენ ყოველ დროს სრული პანსიონით. (28—ნოემ.)

ექიმი **მ. ა. შაფრანი**
სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება „606" და „914") ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე, ქალების 4—5 ს. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამართი: [illegible] ქ. № 33. 21 დეკ.)

ექიმი
გ. ნ. მაგაკიანი
შინაგანი და ბავშვების სნეულებანი, სპეციალურად მუცლის—კუჭის, ნაწლავების და სხ. ავადმყოფობის. მიღება ყოველდღე დილის 10—11 საათ. და საღამოს 5—7 საათ. ტელეფონი № 14—21. ბებუთოვის ქ. № 38. (26 ნოემბ.)

ექიმი
ი. ი. ჭეიშვილი
სიფილისი - (შეშხაპუნება „606" და „914") ვენერიული (ტრიპერი) და კანის სნეულებანი. იღებს ავადმყოფებს დილის 8—10 ს. და საღ. 5—7 ს. ქალებს 4—5 საათ. დიდი მთავრის ქუჩა № 72 ალექსანდროვის საავადმყოფოს პირდაპირ. (21 ნოემ.)

ექიმი
ნიკოლოზ მახვილაძე
განაახლა შინაგან სნეულებით ავადმყოფთა მიღება ყოველ დღე დილის 8—9-მდე და საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, ზემელის აფთიაქის მახლობლად. ტრამვაი № 1, 2, 5 და 9 3—დეკ.

მედიცინის დოქტორი
ა. ა. მონსე
განაახლა მიღება ნერვიულ და შინაგან სნეულებიან ავადმყოფთა ბავშვების და დიდების. ელექტრო-რენტგენის კაბინეტი გიპნოზი. მიღება: დილის $10\frac{1}{2}$—1 საათამდე, საღამოს 6—7 ს. კვირა დღის გარდა. მიხეილის პრ. № 111. ტელეფონი 13—42 (3—დეკ.)

კბილის ექიმი
ე. ტ. ლორის-მელიქოვ-ჯიბლაძისა
ღებულობს კბილის ტკივილით ავადმყოფებს საღამოს 4—6 საათამდე, ანასტასიევის ქუჩა № 13, ტელეფონი 3—63.

ექიმი
სოლომონ ისაიას ძე ვოლოხი
(ქუთაისიდან)
იღებს ქალისა და შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს დილით 12—2 ს. საღ. 5—7 ს. ბელგიის ქ. № 5. ტელეფ. 10—55. (18—ნოემ.)

ექიმი
გენრის ისაიას ძე ვოლოხი
(ქუთაისიდან)
ღებულობს ყურის, ცხვირის და ყელის სნეულებიან ავადმყოფებს დილ. 12—1 ს საღ. 3—6 ს. პლეხანოვის პრ. № 76 (მიხეილის), ტელეფონი 7—38. (16—ნოემ.)

ექიმი
ნ. პ. ფალიაშვილი
სახელმწიფო უნივერსიტეტის სასანიტარო ინსტიტუტის ასისტენტი, ვაქცინოთერაპია, სეროტერაპია, აუტოვაქცინაცია. ხოლერის, ტიფის, ჟამის საწინააღმდეგო ვაქცინის შეშხაპუნება... ავადმყოფებს მიიღებს ყოველ დღე საღამოს 5—7 საათ. ბელინსკის ქუჩა, აგურის შესახვევი № 10. (22—ნოემ.)

დაბრუნდა და განაახლა მიღება.
ექიმი
მ. ო. ზანდუკელი
შინაგან და ნერვების ავადმყოფთ ელექტრონით წამლობა. ავადმყოფ. მიღება 5—7 საათ. ანასტასიას ქ. № 13. ტელეფ. 9—31. (21—ნოემ.)

ექიმი
ბ. ი. ოყროპირიძე
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფთ საღამოს 4—6 საათამდის. რტიშჩევის ქ. № 22, სოლოლაკი

პ. გ. პართანოვი
სპეციალურად კანისა და ვენერიულ სნეულება (სიფილისი „606" და „914" შეშხაპუნება). მიიღება: დილით 8—9 საათ. საღ. 5—7 საათ. ქალები 2—3 ს. სურამის ქ. № 9, ვაგზლის ქუჩის კუთხე, რკინის გზის სამმართველოს პირდაპირ. (7- ნოემ.)

ექიმი **ა. დ. კეკელია**
სპეციალურად: სიფილისი (შეშხაპუნება „606" და „914") ვენერიული და კანის სნეულებანი. ავადმყოფების მიღება: ყოველ დღე დილის 9—11 ს. და საღ. 5—7 ს. მისამართი: მიხეილის პრ. № 116, სასტუმრო „ნოე" პირდაპირ. ტელეფონი 14—28. 15 ნოემ.

სამკურნალო
ელექტრონის, რენტგენის და სინათლის
მიხეილ გედევანიშვილისა
დილით 12—2 საათ., საღ. 6—8 საათ. არის საწოლები. ყორღანოვის ქ., 20, ტელეფ. 7—91 (1—დეკ.)

ექიმი
დავით ლუკას ძე
კიღურაძე
შინაგან და ბავშვთა სნეულებანი. იღებს ავადმყოფთ დილის 8—9 საათამდე და საღამოს 5—7 ს. პლეხანოვის პრ. (მიხეილის) № 120. (15 ნოემ.)

ექიმი
ნ. ა. არუთინოვი
სპეციალურათ სიფილისი (606 და 914 ვენერიული (ტრიპერი), შარდის ორგანოების ოპერაცია ენდოსკოპია (საშარდე მილის). ნოვო-ბებუთოვის ქ. № 5. სასახლეს უკან, პეტრე დიდის ქ. ზევით. (პარალელურად). მიღება დილით 9—12 ს საღ. 4 ნახ 6 ნახ. საათამდე. 5—ნოე)

ექიმი
ა. ლევენშტეინი
შინაგანი და ნერვიული ავადმყოფობანი (სპეც. ფილტვების, გულის და კუჭ-ნაწლავების ავადმყ.) რენტგენის და ელექტრონული კაბინეტი. კრილოვის ქ. სახ. № 5, გოკიელოვისა, ბინა № 3, მიღება დილის 11—12 საათ. და საღ. 4—7 საათ. ტელეფონი 12—46. 7—ნოემ.

ექიმი
ე. ი. კალანდაძე
ღებულობს შინაგანი ავადმყოფობით დილის 8—12 საათამდე, ვენერიული, სიფილისით (წამ. „606" და „914"), ბუშტის და საშარდის ავათ. 5—7 საათ. საღამ. გუნიბის ქ. № 6, მოსკოვის ქ. დასაწყისი, ზემელის აფთიაქთან ახლოს. ტელეფონი 18—95. (1—დეკ.)

ექიმი
ქ. ტუეშელაშვილი
ღებულობს ავადმყოფებს:
საშარდე და სასქესო ორგანოთა სნეულებანი, კანის, ვენერიული და სიფილ. (914 და 606 შეშხაპუნება) საღამოობით 6—$7\frac{1}{2}$ საათ. მიხეილის საავადმყოფოსთან ბელგიის ქ. № 1 (16-ნოემ.).